



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო ბაქრაძე

მეულღეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი
სამართლის დოქტორი

გორი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემაა მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება და მასთან დაკავშირებული საკითხები, ნაშრომის მიზანია ჩუქებასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა და ანალიზი როგორც ქართული ასევე უცხოური კანონმდებლობის მიხედვით. იგი მიზნად ისახავს, ამ შედარებების საფუძველზე თვალნათლივ წარმოვაჩინოთ წინამდებარე თემის პრობლემატური საკითხები და მოვძებნოთ მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები. ვისაუბროთ ქართული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირების იმ ხარვეზებზე, რომელიც მნიშვნელოვანია, ორივე მეუღლისათვის. მართალია მოცემული ნაშრომი ვერ უზრუნველყოფს არსებული პრობლემის გადაწყვეტას, კერძოდ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, თუმცა იმედი მაქვს, რომ მოცემული ნაშრომი დახმარებას გაუწევს ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების მკვლევარებს.

The legal regulation of property rights and responsibilities of the spouses

Annotation

The topic of the current paper is a legal regulation of property rights and responsibilities of the spouses, and the questions related to it. The aim of the paper is the review and analysis of the issues connected with the Deed of Gift both in Georgian and Foreign Legislatures. Its goal is to reveal the problematic questions of the current topic, based on these comparisons and look for the alternative ways to solve them. We will speak about the drawbacks in legal regulation of property rights and responsibilities of the spouses according to Georgian Civil Code, which are important for both spouses. It is true that the presented paper will not solve the existing problem, particularly, it will not make any changes in the legislature, however, we truly believe that the given paper will help those who search for theoretical and practical questions related to the Deed of Gift.

სარჩევი

შესავალი.....	6
1. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების ისტორია და ევოლუცია	10
2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობები	13
2.1. მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმის ცნება,სახეები და საფუძველი.....	14
2.2 მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება	20
2.3 მეუღლეთა საერთო საკუთრების ფლობა და სარგებლობა	23
2.4. მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვა	24
2.5 მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა	28
3.მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები	33
3.1 საქორწინო ხელშეკრულების ცნება და დადების წესი	35
3.2 საქორწინო ხელშეკრულებით მოწესრიგებადი ურთიერთობები	38
3.3 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა და საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ	39
4. მეუღლეთა საერთო ვალები და მის დაფარვის წესი	42
5. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.....	45
5.1 სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი მეუღლე, სარჩოს ოდენობა და მისი განსაზღვრის წესი	46
5.2 რჩენის მოვალეობისგან განთავისუფლება	48
5.3 მეუღლეთა საალიმენტო შეთანხმება	50
6. მეუღლეთა საკუთრებითი ურთიერთობის კოლიზიური საკითხები და გამოსაყენებელი ობიექტური და სუბიექტური მიმაგრების ფორმულები საერთაშორისო კერძო სამართალში	52
6.1 ობიექტური მიმაგრების ფორმულა	53
6.1.1 მეუღლეთა მოქალაქეობის ქვეყნის კანონი	53
6.1. 2ყველაზე მჭიდრო დაკავშირებული ქვეყნის კანონი	56
6.2 სუბიექტური მიმაგრების ფორმულა	57
6.2.1ნების ავტონომიის არსი	57

6.2.2 შეთანხმება გამოსაყენებელ სამართალზე	58
6.2.3 საქორწინო კონტრაქტი	60
6.2.4 ნების ავტონომიის ფარგლები	62
დასკვნა.....	64
ბიბლიოგრაფია	70

შესავალი

ოჯახის როლი დიდი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც. საოჯახო ურთიერთობა რთულია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, შინაგან ხასიათთან, პირად განცდებთან და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან. ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ პირთა დამოკიდებულება. მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისთვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მოწესრიგებას.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაამტკიცა მისი ნორმების ცხოვრებისეულობა, მაგრამ, ამასთან ერთად, წარმოაჩინა ის გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც კიდევ უფრო გამწვავდა პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების ფონზე.

დღესდღეობით საოჯახო სამართლისადმი ინტერესი საკმაოდ გაიზარდა, რაც განპირობებულია საოჯახო სამართლებრივი დავების სიხშირით. საოჯახო სამართლის სფეროში კანონმდებლის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ზოგიერთ ნორმაში დღემდეა ხარვეზები, რაც იწვევს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ქმნის სირთულეებს გარკვეული ინსტიტუტების გააზრებისა და გამოყენების თვალსაზრისით. დავების უმეტესი ნაწილი ეხება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყნებში მეუღლეებს სპეციალურად დადებული საქორწინო ხელშეკრულებების საფუძველზე, დიდი ხანია აქვთ საკუთარი ქონებრივი ურთიერთობების დამოუკიდებლად მოწესრიგების უფლება. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის საქორწინო ხელშეკრულებები ერთმანეთისგან განსხვავდება ზოგი თავისებურებით. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მეუღლეებისათვის არსებული ლეგალური ქონებრივი რეგულირებადან გადახვევის შესაძლებლობის მინიჭება.

ოჯახის მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული როლი თითოეული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში აღიარებულია მსოფლიოს თანამეგობრობის მიერაც. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება, როგორც ქორწინებაზე დამყარებული ბუნებრივი კავშირი, საბერძნეთის კონსტიტუციაში – როგორც ენის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი. ირლანდიის კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ “სახელმწიფო აღიარებს ოჯახს, როგორც საზოგადოების პირველწყაროსა და გამაერთიანებელ საფუძველს, აგრეთვე როგორც ხელშეუვალი და განუსხვისებადი უფლებების შემცველ ზნეობრივ ინსტიტუტს.”

საოჯახო სამართალურთიერთობათა თეორიული და პრაქტიკული პრობლემები განიხილება საოჯახო სამართლისადმი მიძღვნილ სასწავლო და მონოგრაფიულ ლიტერატურაშიც, სტატიებში, იურიდიულ გამოცემებსა და პერიოდულ პრესაში.

საქართველოს კონსტიტუცია, ეყრდნობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ქორწინებას აფუძნებს მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობისა და ნებაყოფლობით პრინციპზე.

ვინაიდან ნაშრომი შეეხება კონკრეტულ თემას, კერძოდ “მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობებ”-ს, სავალდებულოა გამოვთქვათ აზრი იმის შესახებ თუ რაში მდგომარეობს თემის აქტუალობა.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხში არ არის ერთმნიშვნელოვანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით მოცემულია წესი, რომელიც ადგენს, რომ “მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)”, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობასა და დაცვას. ამავდროულად, საოჯახო კანონმდებლობა განსაზღვრავს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების წარმოშობის, მისი მართვისა, განკარგვის და საბოლოოდ გაყოფის წესებს. ეს ნორმა სიტყვა-სიტყვითი განმარტებით შეიძლება მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სპეციალურ საფუძველად იქნეს მიჩნეული. მაგრამ ამ ნორმის რეგულირების სფეროს გასარკვევად

მართებულია მისი გაანალიზება სანივთო-სამართლებრივ ნორმებთან კავშირში, კერძოდ, საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგად საფუძვლებთან ერთად.

მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების განუსაზღვრელობა გავლენას ახდენს მესამე პირების ინტერესებზე. მესამე პირთათვის ხშირად მიუწვდომელია ინფორმაცია მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეგულირებასა და ქონების განმკარგავი მეუღლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. პრაქტიკაში დამკვიდრებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის თანხმობის პრეზუმცია, რომლის გამოყენება გამონაკლისის გარეშე არ არის სწორი. საყურადღებოა იმის განხილვა, თუ როგორია მოქმედი კანონმდებლობის მდგომარეობა ამ საკითხთან დაკავშირებით, და რამდენად არის უზრუნველყოფილი მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვისას როგორც მათი, ისე კეთილსინდისიერი კონტრაქტების ინტერესების, და საერთოდ სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვა.

ნაშრომის მიზანია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების ზოგადი მიმოხილვა, ამავდროულად დეტალურად იქნას განხილული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სამართლებრივი საკითხები, წარმოჩენილ იქნას კოლიზიურ-სამართლებრივი პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევაში იჩენს თავს საკითხის რეგულირებისას და, რაც მთავარია, დასახულ იქნას არსებული პრობლემების, კერძოდ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების კანონისმიერი მოწესრიგების დროს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების ისტორია და ევოლუცია, თუ როგორ რეგულირდებოდა და ვითარდებოდა ძველად მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობები.

მეორე თავში კი განმარტებულია მეუღლეთა ქონების კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობები, რომელიც მოიცავს მეუღლეებს შორის ქონების ინდივიდუალურ და თანაზიარი საკუთრების რეჟიმის, აგრეთვე საერთო საკუთრების განკარგვის, ფლობისა და გაყოფის რეგულირებას, თეორიული და პრაქტიკული მაგალითების მიხედვით.

რაც შეეხება მესამე თავს, აქ განხილულია ისეთი ურთიერთობები, სადაც პრიორიტეტულ მდგომარეობაში მეუღლეთა თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული შეთანხმებაა, კერძოდ სსკ-ი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების შესაძლებლობას მეუღლეთა შეთანხმების (სახელშეკრულებო რეჟიმი) საფუძველზე ითვალისწინებს.

მეოთხე თავი ეთმობა მეუღლეთა შორის არსებულ საერთო ვალებს და მისი დაფარვის წესს, რომელიც თავისთავში ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მათი მოქმედების შედეგად დგება გარკვეული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა მესამე პირების მიმართ.

მეხუთე თავში დეტალურად არის განხილული მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობასთან დაკავშირებული შემთხვევები, რომელიც სხვადასხვა მიზეზებით წარმოიშობა, აგრეთვე განმარტებულია მაგალითები, თუ რა დროს, რა ოდენობით და რა მიზეზით არის უფლებამოსილი მეუღლე, რომ მიიღოს სარჩო. აგრეთვე მეხუთე თავში აღნიშნულია ის ფაქტორებიც, რაც პარალელურად რჩენის მოვალეობისგან ათავისუფლებს მეუღლეებს გარკვეული მიზეზების და გამო. ამავე თავშია მოხსენიებული მეუღლეთა საალიმენტო შეთანხმება, რომელიც შესაძლებელია მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული.

მეექვსე თავი მეტად საინტერესო ნაწილს მოიცავს. აქ ლაპარაკია მეუღლეთა საკუთრებითი ურთიერთობის კოლიზიურ საკითხებზე, ასევე გამოსაყენებელ ობიექტურ და სუბიექტური მიმაგრების ფორმულებზე.

ბოლოს, დასკვნის სახით წარმოდგენილი იქნება კვლევა ძიების შედეგი, ნაშრომის მიზანია მეუღლეთა კანონისმიერი და სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების, ასევე მეუღლეთა საკუთრებითი ურთიერთობის კოლიზიური საკითხების კონკრეტული განსაზღვრება და თეორიული მოსაზრებების პრაქტიკული გამოყენება.

1. მეულლეთა ქონებრივი ურთიერთობების ისტორია და ევოლუცია

ფეოდალიზმამდელ საქართველოში მეულლეთა შორის ქონებრივი თუ პირადი ურთიერთობის ხასიათის შესახებ სათანადო ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

სახარების მიხედვით სავსებით კანონზომიერია დავასკვნათ, რომ ქრისტიანობამ აითვისა ძველ სამყაროში საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული შეხედულება, რის მიხედვითაც ოჯახსა და საზოგადოებაში მამაკაცი არის ხელმძღვანელი და გაბატონებული ძალა. როგორც ჩანს, იმ დროს ქმრის ბატონობა ცოლზე სავსებით ნორმად მიაჩნდათ ქრისტიანობის მესვეურებს.

ცოლისა და ქმრის უთანასწორობას თვით საჯარო საეკლესიო სამართლის სფეროშიც ვხვდებით. ამ უკანასკნელში მას იურიდიული ხასიათიც კი აქვს მინიჭებული.

VI-VIII საუკუნეების წყაროებში მეულლეთა პირადი თუ ქონებრივი ურთიერთობის საკითხებისთვის საყურადღებო ცნობებს თითქმის ვერ ვხვდებით. წყაროები სანდო ცნობებს IX-XVIII სს. გვაწვდიან. საქართველოში საოჯახო ქონების წარმოშობის წყაროების მიხედვით განსხვავებასა და დაყოფასთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ “მამული”, “დედული” და “მონაგები” სულ სხვადასხვა იურიდიული რეჟიმის მქონე ქონებრივი მასაა. ამ თვალსაზრისით “მამული” ეს ისეთი უძრავი ქონებაა, რომელიც მამას ჰქონია და შვილისთვის დაუტოვებია. “დედული” კი ის უძრავი ქონება უნდა იყოს, რასაც გათხოვებისას ქალს მშობლები აძლევდნენ და რომელიც დედის სიკვდილის შემდეგ შვილებს უნდა დარჩენოდათ. რაც შეეხება “მონაგებ” ქონებას, ეს პიროვნების მიერ საკუთარი შრომა-გარჯილობით შეძენილ ქონებას წარმოადგენდა. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებოდა ქორწინების დროს მეულლეთა მიერ შეძენილი ქონება.

საქართველოზე გავლენის მქონე მეზობელ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შემავალმა, განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარმა, სხვადასხვა ტრადიციების მქონე ხალხებმა და მათმა ჩვეულებითი სამართლის ნორმებმა ძირეული ცვლილებები შეიტანეს რომის სამართალში. VIII საუკუნისთვის ბიზანტიურ სამართალს უკვე სრული, ინდივიდუალური სახე ქონდა. აქ პირველ რიგში საყურადღებოა 740 წელს გამოცემული ეკლოგა.

ეკლოგამ მეუღლეთა მთელი პირადი და ქონებრივი ურთიერთობა წინა საკანონმდებლო ძეგლებისგან განსხვავებულ საწყისებზე ააგო. კანონმდებელმა თავისი იდეების თეორიულ საფუძვლად, რა თქმა უნდა, სახარება აიღო, მაგრამ იგი სასურველი კომენტარებით თავისი მიზნისთვის გამოიყენა.

X-XII საუკუნეებისათვის საგულისხმებელია ეკლოგის გავლენა ქართულ სინამდვილეზე.

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის კონტრუქცია განპირობებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობით და ქვეყნის კულტურულ-ისტორიული განვითარების დონით. ცხადია, გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს გარდასულ თაობათა ტრადიციების ძალასაც. ამიტომაც, ზოგჯერ ერთი და იმავე დონის სოციალურ-ეკონომიკური წყაროების პირობებში ვხვდებით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სფეროში განსხვავებულ წესებს.

წინასაქორწინო საჩუქრის დაწესება მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის სფეროში რომის სამართლის უკანასკნელი სიტყვა იყო. საქორწინო საჩუქრის ობიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო მოძრავი, არამედ უძრავი ქონებაც.

სათანადო წყაროების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სანივთო უფლებებიდან მხოლოდ საკუთრების უფლება შეიძლებოდა ყოფილიყო საქორწინო საჩუქრის შესაძლო ობიექტი. საქორწინო საჩუქრი შესაძლოა ყოფილიყო არა მარტო ცალკეული ნივთები საქმროს ქონებიდან, არამედ მთელი მისი ქონებაც.

VI საუკუნისათვის, როგორც პატარძლის მამას ევალეობდა შვილისთვის მზითვის მიცემა, ზუსტად ასევე საქმროს მამაც ვალდებული იყო რძლისთვის საჩუქარი გადაეცა. საქორწინო საჩუქარზე საკუთრების უფლება ცოლს ეკუთვნოდა. ამავე დროს იგი იყო საქორწინო საჩუქრის მფლობელიც და მოსარგებლევ.

ეკლოგის მიხედვით საქორწინო საჩუქარი, მზითევთან ერთად ერთ მთლიან ქონებას წარმოადგენდა და მის იურიდიულ ბედასც იზიარებდა.

ცოლის ისეთი ქონება, რომელიც მზითევი არ არის ან ქმრის ისეთი ქონება, რომელიც საქორწინო საჩუქარი არ არის, შესაბამისად თითოეული მათგანის პირადი საკუთრებაა.

შუა საუკუნეების ბარის საქართველოში, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად უფრო მაღალ საზოგადოებას წარმოადგენდა მონათმფლობელურთან შედარებით, ქალიც უფრო მეტად იყო ქონებრივი უფლებებით უზრუნველყოფილი ოჯახში.

გ. ბრწყინვალის “მეგლის დადებიდან” მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობასთან მიმართებით ირკვევა, რომ ქალს “სრული” წილი არ გააჩნდა საოჯახო ქონებაში. აღნიშნული სამართლის წიგნი ქალის მზითვიდან არჩევს უძრავი და მოძრავი ქონების უფლებრივ რეჟიმს. მოძრავი ქონება, რომელიც ქალს მზითვის სახით ჰქონდა მშობლების სახლიდან წაღებული მისი უპირობო სრული საკუთრება იყო.

საშუალო საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული დამუშავება მიიღო მეუღლეთა ქონებრივმა ურთიერთობამ. ეს ითქმის პირველ ყოვლისა გერმანიის მისამართით, სადაც ცნობილია ცოლ-ქმართა ქონებრივი ურთიერთობისა რიგი სხვადასხვა სახეობანი. მეუღლეთა შორის პირველი სახის ქონებრივი რეჟიმის არსებობის შემთხვევაში ქორწინების შეწყვეტისას თითოეული მათგანის ქონება ცალ-ცალკე მათი მშობლების სახლში ბრუნდებოდა. მეორე სახის უფლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში მეუღლეების ქონება განიხილებოდა, როგორც საერთო-საოჯახო. ცოლქმრული ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში იგი გაიყოფოდა ორ ნაწილად, დამოუკიდებლად მისი შექმნის წყაროებისა. მესამე შემთხვევაში, მეუღლეთა მხოლოდ ის ქონებაა საერთო, რომელიც მათ ქორწინების დროს შეიძინეს. მეუღლეთა შორის მეოთხე სახის უფლებრივი ურთიერთობის არსებობის დროს, მხოლოდ მოძრავი ქონება ითვლებოდა ცოლ-ქმართა საერთო საკუთრებად, უძრავი კი არა.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება დაფუძნებული იყოს ისტორიულ საწყისებზე. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობისა უთუოდ ისეთი იყო, რომ ქალის ქონებაზე ქმრის უფლება ვრცელდებოდა, რაც შემდგომ რადიკალურად შეიცვალა და მეუღლეები ერთობლივად ფლობდნენ მთელ ქონებას. საქართველოში იყო ისეთი პერიოდი, როდესაც ქალის ქონება მთლიანად ქმრის ხელისუფლების ქვეშ იყო. თუმცა კი ამის შესახებ სათანადო წყაროები ჩვენამდე არ არის მოღწეული.

2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობები

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული პრინციპით, რომელიც განმარტავს რომ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ სამართლებრივ შედეგებს.¹ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აქტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცისა და ქალის კავშირი იძენს საზოგადოებრივ აღიარებას და დაცვას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც კანონის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება. მეუღლეთა პირადი ურთიერთობები კანონით მოწესრიგებულია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია მათი უაღრესად პირადული ხასიათიდან გამომდინარე. მეუღლეთა პირად უფლებებს არ გააჩნია ეკონომიკური შინაარსი და არ ატარებს მატერიალურ ხასიათს. მეუღლეთა პირადი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება მიზნად ისახავს ოჯახში მეუღლეთა თანასწორობის უზრუნველყოფას. ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებას კი ძირითადი ადგილი ეთმობა. პირადი ურთიერთობებისგან განსხვავებით, ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც ოჯახში წარმოიშობა მეუღლეთა ქონებისა და რჩენის საკითხებთან დაკავშირებით, უფრო მეტად ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან. ქონებრივი სამართალურთიერთობები მეუღლეთა შორის – საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომლებიც მათი საერთო თანასაკუთრებისა და მატერიალური ურთიერთრჩენის გამო წარმოიშობა. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ნორმებით რეგულირდება, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ა) მეუღლეთა საკუთრებით ურთიერთობები (ანუ მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებასთან დაკავშირებული);

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის **№ას-1653-1641-2011** განჩინება, იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

ბ) ერთმანეთის მატერიალურ რჩენასთან დაკავშირებული ურთიერთობები (საალიმენტო ვალდებულებები);

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა ძველი რეგულირებისგან განსხვავებით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების დისკოზიციურ რეგულირებას ითვალისწინებს, რაც გულისხმობს სახელშეკრულებო რეგულირებას არჩევის შესაძლებლობას. ამასთან, კანონმდებელი მეუღლეებს საკუთრებით ურთიერთობებში მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე ურთიერთრჩენასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება დაექვემდებაროს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერ სამართლებრივ რეჟიმს.

2.1 მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმის ცნება, სახეები და საფუძველი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემებში მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი რეგულირების განსხვავებულ სახეებს ვხვდებით, შესაბამისად ცნობილია მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეგულირების სამი კატეგორია: მეუღლეთა ქონების “ერთიანობის რეგულირება”, მეუღლეთა ქონების “განცალკევებული რეგულირება” და მეუღლეთა ქონების “პირობითი ერთიანობის რეგულირება”. მეუღლეთა ქონების “ერთიანობის რეგულირება” მოქმედებს ესპანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში და ასევე აშშ-ს ზოგიერთ შტატში. მეუღლეთა ქონების “განცალკევებული რეგულირება” მოქმედებს ინგლისში, აშშ-ს უმრავლეს შტატში, ავსტრიაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში. ამ რეგულირებასათვის დამახასიათებელია მეუღლეთა ქონების განცალკევება.²

“პირობითი ერთიანობის რეგულირება” მოქმედებს გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში. პირველად “პირობითი ერთიანობის” რეგულირება დამკვიდრდა შვედეთის კანონმდებლობაში და შემდეგ გერმანიაში.³

² ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურება საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, 2, 2007, 97

³ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომც. „მერედიანი“, თბ., 2006, 313-314

მეუღლეებს შორის კანონით დადგენილი ქონებრივი ურთიერთობები წარმოიშვება ქორწინების მომენტიდან, თუ მეუღლეები საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამეზე არ შეთანხმებია. მეუღლეთა შორის კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობები წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით (გსკ-ის §1371), გარდა ამისა ქორწინების სასამართლო წესით გაუქმების და განქორწინების დროს (§§1313, 1318 III, 1564), ქორწინების განმავლობაში ქონების გაყოფისას (§§1385,1388) ან საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შედეგად (§§1408, 1414). მეუღლეთა საერთო ქონებაში (§1363) გაყოფილად რჩება როგორც თითოეული მეუღლის საკუთრებაში ქორწინებამდე არსებული, ისე – ქორწინების შემდეგ შექმნილი ქონება. თითოეული მეუღლე თავის წილ ქონებას განკარგავს დამოუკიდებლად, მაგრამ მეუღლის თანხმობა საჭიროა მაშინ, როდესაც ხდება მთელი ქონების ან საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების განკარგვა (§§1365, 1369)⁴, რათა შენარჩუნებულ იქნეს ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები.

რაც შეეხება საქართველოს, ის მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეგულირება მეუღლეთა ქონების ერთიანობის პრინციპზეა აგებული, რაც იმას გულისხმობს, რომ მეუღლეების მერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათ საერთო საკუთრებას (თანაზიარ საკუთრებას) წარმოადგენს (სსკ-ის 1158-ე მუხლი).

მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობას შეადგენს ქონებრივი უფლებები და ქონებრივი მოვალეობები. ქონებრივ ურთიერთობებში ჩვეულებრივ იგულისხმება “ქონებასთან” დაკავშირებით წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების შეწყვეტასა და თითოეული მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობას.⁵ გაყოფის შემთხვევაში თითოეული მეუღლე მისი კუთვნილი საერთო ქონების ნაწილის დამოუკიდებელი მესაკუთრე ხდება. ქონების ცნება მოიცავს არა მარტო ნივთებსა და სანივთო უფლებებს, არამედ ვალდებულებითი ხასიათის მოთხოვნებსაც, რომლებიც მეუღლეთა თანაცხოვრების

⁴ Schwab D., Familienrecht, Grundrisse des Rechts, 16. Auf., Verlag C.H. Beck, München, 2004, § 16 II 5,408

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის # ას-960-1162-08 განჩინება, იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf>

პერიოდში საერთო ქონების საფუძველზე წარმოიშვა.⁶ ასევეა შესრულების ვალდებულებებიც (მაგალითად, დაუფარავი სესხი, რომელიც სახლის მშენებლობისათვის იყო აღებული, კრედიტით შეძენილი ნივთის ვალი) რის მიხედვითაც მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალად აღებული ფული მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება ხდება, საიდანაც წარმოიშობა ორივე მეუღლის პასუხისმგებლობა ვალის დაბრუნების გამო.⁷

სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ადგენს: „ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.“ მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოადგენს საერთო თანაზიარ საკუთრებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეული მეუღლის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე წილთა განუსაზღვრელად და წილი განისაზღვრება უშუალოდ ქონების გაყოფის დროს.⁸

განსაზღვრულ ვითარებაში შეიძლება მოხდეს განცალკევებული ქონების სახეცვლილება (ტრანსფორმაცია) საერთო თანასაკუთრებად. ასე მაგალითად, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს საერთო საკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდა ამ ქონების ღირებულება (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება და სხვა), თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული (სსკ-ის 1163-ე მუხლი).⁹ აქ იგულისხმება ხარჯები გაწეული როგორც ორივე მეუღლის, ისე იმ მეუღლის მიერაც, რომელსაც

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის **№სს-1302-1322-2011** განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ოქტომბრის **#as-631-592-2010** განჩინება იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/04-2010.pdf>

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის **№სს-1122-1149-2011** განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2008 წლის 15 მაისის **№სს-968-1269-07** განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

თავდაპირველად არ ეკუთვნოდა ქონება. მეუღლეთა განცალკევებული ქონების ტრანსფორმირება საერთო საკუთრებად შეიძლება განხორციელდეს მათ შორის განცალკევებული ქონების საერთო თანასაკუთრებად გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების გზითაც. ასეთი გარიგებანი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დასაშვები და მართლზომიერია.

გასათვალისწინებელია ის, რომ უძრავ ნივთებზე (აგრეთვე სხვა ნივთებზე ან უფლებებზე, რომლებზედაც საკუთრების უფლების წარმოშობისათვის კანონით დადგენილია განსაზღვრული წესი) მეუღლეთა თანასაკუთრების რეგულირებას წარმოშობისათვის დაცულ უნდა იქნეს ამ ნივთების მიმართ გათვალისწინებული წესები. სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ნივთების მიმართ შედეგები უნდა აისახოს მარეგისტრირებელ ორგანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციის გარეშე ნივთზე უფლება არ წარმოიშვება.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, რაც შესაბამისად წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება რომ გახდეს, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია არ არის საკამრისი, აუცილებელია, რომ ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად.¹⁰

სსკ-ის 1158-ე მუხლი არის მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელიც არ ითვალისწინებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის განსხვავებულ რეჟიმს (კერძოდ კი, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესს). არადა ამ საკითხის განხილვა შეუძლებელია სანივთო-სამართლებრივი ნორმების გათვალისწინების გარეშე, რადგან ისინი განსაზღვრავენ საკუთრების უფლების წარმოშობის განსაზღვრულ წესს,

¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 სექტემბრის განჩინება #2/1743-11; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 თებერვლის განჩინება #2/13818-11;

რომელიც “ერთიანია ამ უფლების წარმოშობის ყველა საფუძვლისათვის”,¹¹ მათ შორის საოჯახო-სამართლებრივი საფუძვლისათვის. შესაბამისად საჭიროა განიმარტოს – სსკ-ის 1158-ე მუხლი არის საკუთრების უფლების წარმომშობი, თუ საკუთრების უფლების მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა.

მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგად წესს განსაზღვრავს სსკ-ის 186-ე მუხლი, რომლის თანახმად, “მოდრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.” მოდრავ ნივთთან მიმართებით “სსკ-ის 1158-ე მუხლი ჩაენაცვლება საკუთრების უფლების წარმოშობისათვის გათვალისწინებულ წინაპირობას – “ნამდვილი უფლების” არსებობას. ასევე არ არის სავალდებულო წინაპირობა ნივთის მფლობელობაში გადაცემა, საკმარისია, რომ ის მფლობელობაში მიიღოს ერთ-ერთმა მეუღლემ”.¹² შესაბამისად, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ნებისმიერი მოდრავი ნივთი სსკ-ის 1158-ე მუხლის ძალით, თუ ის საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად არ განეკუთვნება ინდივიდუალურ ნივთებს, წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.¹³ რაც შეეხება უძრავ ნივთებს, სსკ-ის 183-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად გარიგების წერილობითი ფორმით დადებისა და შემძენზე ამ გარიგებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულოობას. საკუთრება უძრავ ნივთზე წარმოიშობა რეგისტრაციის შედეგად და მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი მიიჩნევა მესაკუთრედ. შესაბამისად, უძრავ ნივთებზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში თანამესაკუთრებად ორივე მეუღლის აღრიცხვა.

¹¹ ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ჯურნ. “ქართული სამართლის მიმოხილვა”, 10/2007-1, 136.

¹² ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა (ემსი), თბ., 2011, 179.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 თებერვლის #as-126-121-2012 განჩინება იხ.. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ო. ზოიძე, რომ იმ მეუღლის თანამესაკუთრედ მიჩნევას, რომელიც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არ არის რეგისტრირებული, მივყავართ საჯარო რეესტრის ფუნქციის დარღვევამდე და მესამე პირების ინტერესების იგნორირებამდე, რის გამოც ეს უკანასკნელი სრულიად დაუცველი რჩება.¹⁴ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას აქვს უფლების წარმოქმნის მოქმედების ძალა,¹⁵ ანუ “უფლება, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას, წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ რეგისტრაციის განხორციელების მომენტიდან.”¹⁶ აქედან გამომდინარე “ყველა პირი, ვისაც აქვს სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი საფუძველი თანამესაკუთრედ ცნობისა, უძრავი ქონების თანამესაკუთრე გახდება მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე და რეგისტრაციის მომენტიდან”.¹⁷

სსკ-ისაგან განსხვავებით, გსკ-ი მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობას უკავშირებს მეუღლეების მიერ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმზე შეთანხმებას (გსკ-ის §1415).¹⁸ ამ რეგულირებას არჩევით მეუღლეთა ქონება ხდება მათი საერთო ქონება (Gesamtegut) ისე (გარდა იმ ნივთებისა, რომლებიც გსკ-ის მიხედვით მეუღლეთა პირად (Sondergut) ან გამოყოფილ (Vorbehaltsgut) ქონებას მიეკუთვნება), რომ არ არის საჭირო ცალკეული ნივთის გარიგების საფუძველზე გადაცემა¹⁹. თანასაკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე უფრო მარტივად ხდება. რაც შეეხება უძრავ ნივთებს, თუ მიწის ნაკვეთი (ან უფლება მიწის ნაკვეთზე) საერთო ქონება ხდება, მეუღლეებმა ის უნდა დაარეგისტრონ საადგილმამულო რეესტრში. გსკ-ის 873-874 პარაგრაფების თანახმად, უძრავ ნივთზე არავითარი სანივთო უფლება არ შეიძლება წარმოიშვას ან შეწყდეს საადგილმამულო

¹⁴ ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ჟურნ. “საქართველოს ნოტარიატი”, № 1(5), 2002, 22.

¹⁵ ვერენსი ჰ. გ., საადგილმამულო წიგნი, ჟურნ. “საქართველოს ნოტარიატი”, № 3-4, 2001, 95

¹⁶ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. “ბონა კაუზა”, თბ., 2009, 181.

¹⁷ ზოიძე ო., საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება (კომენტარი), ჟურნ. “საქართველოს ნოტარიატი”, № 5-6 2003, 25.

¹⁸ Wilfried S., BGB Familienrecht, 10 Auf., C.F. Müller, Heidelberg, 2003, § 15 I, §1415, RdNr.152.

¹⁹ Wilfried S., BGB Familienrecht, § 15 I, §1416, RdNr.154.

წიგნში რეგისტრაციის გარეშე.²⁰ ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეუღლეს, რომელიც მესაკუთრედ არ არის აღრიცხული საჯარო რეესტრში, ვერ განკარგავს ნივთს, რადგან მას არ აქვს თავისი საკუთრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, ქორწინების მოწმობა კი ამისთვის საკმარისი საფუძველი არ არის.

მართებული იქნებოდა სსკ-ში უძრავ ნივთზე ორივე მეუღლის რეგისტრაციის აუცილებლობის გარდა, თუ დაფიქსირდება მეუღლეების ვალდებულების შესახებ მეორე მეუღლის თანამესაკუთრედ რეგისტრაციის ხელშეწყობის შესახებ. რაც შეეხება დავას უფლების თაობაზე, მეუღლემ ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა მიმართოს. თუ მეუღლე არ გამოიყენებს ამ საშუალებას, ის არ შეიძლება ჩაითვალოს თანამესაკუთრედ. ე. ზარნაძის მოსაზრება, რომელიც წერს, რომ “ქორწინების განმავლობაში უძრავი ქონების შეძენის ფაქტი, როდესაც არაა საქორწინო ხელშეკრულება დადებული, თითოეულ მეუღლეს ანიჭებს თანასაკუთრების მოთხოვნის უფლებას, რაც შეუძლიათ განახორციელონ როგორც შეძენის მომენტში თანამესაკუთრედ რეგისტრაციის, ისე შემდგომში რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის გზით და არა საკუთრების უფლებას, რადგან ასეთ ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი საჯარო რეესტრიდან ვლინდება.”²¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან უნდა აღვნიშნოთ, რომ მართებული იქნება თუ საოჯახო სამართლის ნორმებში აისახება მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების განსხვავებული რეგულირება და ხაზი გაესმება იმას, რომ თითოეულ მეუღლეს კანონისმიერი რეგულირება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ისეთ ქონებაზე, რომლის საკუთრებითი ურთიერთობა საჯარო რეესტრიდან ვლინდება, ანიჭებს თანაზიარი საკუთრების მოთხოვნის უფლებას, რაც მას შეუძლია განახორციელოს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და მეუღლეთა თანასაკუთრება მოცემული სახის ქონებაზე წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

²⁰ Мкртумян А., Правовое регулирование государственной регистрации прав возникающих из договоров с недвижимым имуществом. (проблемы практики. Судебный прецедент как источник гражданского права), <http://www.cac-civillaw.org/beitraege/beitraege.html>

²¹ ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება.

2.2 მეულლეთა ინდივიდუალური საკუთრება

მეულლეთა ინდივიდუალური ქონების პრინციპის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მეულლეთა მიერ ქონების შეძენისას, იგი ერთ მთლიანობას არ წარმოადგენს და იურიდიულად ეკუთვნის თითოეულ მათგანს. მეულლეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ქონება.²² ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული მეულლე დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის კუთვნილ ქონებას.

მეულლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას შეიძლება განეკუთვნებოდეს ნებისმიერი ქონება. მოქმედი კანონმებლობა არ შეიცავს ასეთი ქონების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება იყოს მეულლეთა საერთო თანასაკუთრებაში. ამიტომ მეულლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების კვლევისას, აუცილებელია იმ საერთო კრიტერიუმის გამოვლინება, რომლის საფუძველზედაც შეიძლება გადაწყდეს საკითხი, თუ რომელი ქონება უნდა მიეკუთვნოს მეულლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას და რომელი მათ საერთო საკუთრებას. ცხადია, ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია დავადგინოთ მეულლეთა მფლობელობაში არსებული ქონების დანიშნულება, შეძენის გზები და ხასიათი.²³ ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მეულლის ქონებას შეიძლება მიეკუთვნოს ქონება, რომელიც თუმცა ქორწინების განმავლობაში, მაგრამ პირადად მისი კუთვნილი თანხებით (ქორწინებამდე კუთვნილი ან ქორწინების დროს უსასყიდლო გარიგების შედეგად მიღებული სახსრებით) არის შეძენილი. სასამართლო ქონების გაყოფასთან დაკავშირებული დავის დროს შემდეგი პრეზუმციებით ხელმძღვანელობს: მეულლის მიერ ქორწინების განამვლობაში შეძენილი ქონება – საერთო ქონება, ხოლო ქორწინებამდე შეძენილი ინდივიდუალურ ქონებად მოიაზრება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქონების გაყოფის დროს იმ მეულლემ, რომელიც ამტკიცებს, რომ ესა თუ ის ქონება მას ეკუთვნის,

²² იხ. შოშიაშვილი ნ., მეულლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში ავტორეფერატი, თბ., 2004, 17.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის #as-324-308-2011 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

ვალდებულია ეს დაასაბუთოს და დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც სადავო ქონებაზე საერთო საკუთრების წარმოშობას გამორიცხავენ.

სსკ-ის 1161-ე მუხლით განსაზღვრულია თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ ქონებას მიკუთვნებული ნივთების წრე. ესაა:

- ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

- ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო თანხებით შეძენილი ქონება, თუ იგი განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

- ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება (იმ შემთხვევაში, თუ ქონება საჩუქრად ეძლევა ერთ-ერთ მეუღლეს, იგი ითვლება ამ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად).

- ქონება რომელიც საქორწინო ხელშეკრულებით აღიარებულია, როგორც ინდივიდუალური საკუთრება.

- ქონება, მიღებული მეუღლის მიერ პრემიის, წახალისების ან ჯილდოს სახით.

როგორც ვხედავთ, ქორწინებამდე შეძენილი ქონება არ ერთვება მეუღლეთა თანასაკუთრებაში. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი ასევე არ ვრცელდება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე, თუ ის ჩუქებით ან მემკვიდრეობითაა მიღებული.²⁴ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა ქონება აჩუქეს ერთ-ერთ მეუღლეს თუ ორივე მათგანს. თუ ქონება აჩუქეს ერთ-ერთ მეუღლეს, იგი ითვლება ამ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად. დავის შემთხვევაში სასამართლოები ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომ ოჯახის საერთო სარგებლობისათვის და არა მარტო ერთ-ერთი მეუღლის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ნივთები, თუ საწინააღმდეგო არ არის დამტკიცებული, ორივე მეუღლისათვის ნაჩუქარ ქონებად უნდა ჩაითვალოს და გავრცელდეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.²⁵

სსკ-ის 1162-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას მიეკუთვნება ასევე ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები (მვირფასეულობის გარდა), თუნდაც ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა მიერ საერთო სახსრებით იყოს

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 დეკემბრის #as-763-714-2010 განCineba ix. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის #as-533-506-2011 განCineba ix. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

შეძენილი. ასეთი ნივთები ითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ქონება, თუ ის განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ასეთ ნივთებს მიეკუთვნება ტანსაცმელი, ფხსაცმელი და ა.შ.). ამ ნივთებიდან გამონაკლისია ძვირფასეულობა და ფუფუნების საგნები, აღნიშნული ნივთები არ მიეკუთვნება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მეუღლეთაგან ერთ-ერთი ამ ნივთებს მოიხმარდეს.

კანონი არ გვადლევს ძვირფასეულობის ცნებას და არ მოიხსენიებს ფუფუნების საგნებს როგორც მეუღლეთა საერთო საკუთრებას. კანონმდებლობაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ძვირფასეულობისა და ფუფუნების საგნები, კერძოდ ძვირფასეულობად მიჩნეულია: ოქროს, პლატინისაგან დამზადებული ნაკეთობები და ძვირფასი ქვები, ხოლო ფუფუნების საგნები შედარებითი ცნებაა და ყველა ოჯახში განსხვავებულია, კერძოდ ეს შეიძლება იყოს: ანტიკვარიატი, ძვირფაცი ბეწვი, ტანსაცმელი ან შეკვეთით დამზადებული ძვირფასი ნივთები.

ინდივიდუალურ საკუთრებას მიეკუთვნება ასევე საქორწინო ხელშეკრულებით აღიარებული ქონება.

თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს ფლობდეს და განკარგავდეს, სარგებლობდეს თავისი ინდივიდუალური ქონებით დამოუკიდებლად, თავისი სურვილის შესაბამისად, მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე.

2.3 მეუღლეთა საერთო საკუთრების ფლობა და სარგებლობა

სსკ-ის 1152-ე და 1159-ე მუხლებში განმარტებული და განსაზღვრულია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რის მიხედვითაც მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის თანაზიარი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად “ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას.” ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის

უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილის განუსაზღვრელად და თითოეული მეუღლის უფლება ვრცელდება მთლიან ქონებაზე. ასეთ დროს მეუღლეები საკუთრების ფლობას, სარგებლობას და განკარგვას ახორციელებენ ურთიერთშეთანხმებით, ერთ-ერთი მეუღლის მოქმედება რითაც ის მართავს და განკარგავს ქონებას იმავდროულად ითვლება მოერე მეუღლის ნების გამოვლენად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე მფლობელობა შეიძლება განიმარტოს როგორც “სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებულ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც შეერთებულია მფლობელობის ნებასთან, იქონიოს ქონება თავის მფლობელობაში.²⁶ ნივთი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირის მფლობელობაში (სსკ-ის 155 მუხლის მე-4 ნაწილი). როცა ნივთს რამდენიმე პირი ერთდროულად ფლობს სახეზეა თანამფლობელობა, აქედან განასხვავებენ ორი სახის თანამფლობელობას: 1. თანაზიარ და 2. მარტივ თანამფლობელობას. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მარტივ თანამფლობელობის სახეს მიეკუთვნება, რის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ საერთო ქონებაზე სანივთო ძალაუფლება აქვს თითოეულ თანამფლობელს. გარდა ამისა თითოეულ მეუღლეს გააჩნია ნივთით სარგებლობის თანაზიარი უფლება, თანაც ისე რომ მეორე მეუღლეს არ მიაყენოს ზიანი ამ ნივთით სარგებლობის შედეგად. მაგალითისათვის თანაზიარ მფლობელობაში არსებული ავტომანქანა მეუღლეებმა უნდა გამოიყენონ ურთიერთშეთანხმებით, და შესაბამისად ორივე მათგანის სარგებლობის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამ უფლების შეზღუდვას კი არ უშვებს მეუღლეთა ქონების კანონისმიერი პრინციპი, ამავედროულად ეს ეწინააღმდეგება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობას. (სკ-ის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)

2.4 მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვა

²⁶ იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, 68-69.

განკარგვის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. განკარგვის ყველაზე გავრცელებული საშუალება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა. სსკ-ის 1160-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, “იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.” ეს ნორმა ცალსახად ადგენს ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის თანხმობის პრეზუმციას. საინტერესოა გარიგების დადების დროს რას უნდა დაეყრდნოს შემძენი პირი, მოქმედებს თუ არა მეუღლის თანამესაკუთრედ ყოფნისა და მისი თანხმობის პრეზუმცია ყველა შემთხვევაში. აქედან გამომდინარე საყურადღებოა განვასხვავება მოძრავ და უძრავ ნივთებს შორის. სსკ-ი მათ მიმართ ადგენს საკუთრების პრეზუმციის განსხვავებულ მოწესრიგებას. სსკ-ის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, “ივარაუდება რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე” ეს ვარაუდი იმ შემთხვევას ასახავს, როდესაც “ბრუნვის მონაწილისათვის უცნობია მფლობელობის უკან რა უფლება დგას.”²⁷ მოძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციას სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს, მაგრამ მათი საჯაროობა მფლობელობაში ვლინდება. ამ დროს შესაძლებელია დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინიძისირებას და იგი მივიღოთ ქონების მესაკუთრედ. მეუღლეთა ქონებრივ რეგულირებისას არსებობს მოძრავი ნივთის თანამესაკუთრე მეუღლის თანხმობის პრეზუმცია. მოძრავი ნივთის შემძენი, რომელიც გარიგებას დებს ერთ მეუღლესთან ეყრდნობა საკუთრების ვარაუდს და ის არ არის ვალდებული გამორკვიოს ჰყავს თუ არა პირს მეუღლე და თუ ჰყავს, არის თუ არა ის თანახმა.²⁸

რაც შეეხება უძრავ ნივთებს სსკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: “მფლობელობაში მესაკუთრის ვარაუდი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან.” თუ მეუღლე რომელსაც უფლება აქვს მოიპოვოს თანასაკუთრების უფლება, მაგრამ არ აკეთებს ამას, ე.ი. “იგი უარს ამბობს თანასაკუთრების მოპოვებაზე, შესაბამისად მეორე მეუღლე გამოდის ერთპიროვნული მესაკუთრე და ქონების ერთპიროვნული განმკარგველი,

²⁷ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომც. “მეცნიერება”, თბ., 2003, 67.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002წ. 9 დეკემბრის განჩინება #3k-932-02 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-3k-932-02.pdf>

მიუხედავად იმისა შემძენმა იცის თუ არა განმსხვავებლის ქორწინებაში ყოფნის ფაქტი.²⁹ შესაბამისად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე არ მოქმედებს მეუღლე-თანამესაკუთრის არსებობის და მისი თანხმობის პრეზუმცია. საჯარო რეესტრის ჩანაწერი კი ითვლება სწორად. საწინააღმდეგოს თუ დავუშვებთ, გამოდის რომ საჯარო რეესტრის მონაცემები ყოველთვის არასწორია, ვინაიდან მხოლოდ ერთი მეუღლის შესახებ შეიცავს მონაცემებს, ამ დროს კი საჯარო რეესტრის მიმართ მოქმედი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია დგება ეჭვ ქვეშ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავი იჩინა პრობლემამ სსკ-ის 1160 მუხლშიც, რომელიც კიდევ ერთხელ მიგვითითებს უძრავ ნივთებზე მეუღლეთა თანამესაკუთრედ ცნობისათვის საჯარო რეესტრში ორივე მეუღლის რეგისტრაციის აუცილებლობაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს შემძენის კეთილსინდისიერების სწორად შეფასებისა და მისი ინტერესების დაცვისათვის.³⁰

სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. ეს ნორმა არ ითვალისწინებს მოძრავი და უძრავი ნივთების თავისებურებებს. ასევე არ არის მითითება მეორე მხარეზე (შემძენზე). თუმცა ეს ნორმა იცავს შემძენის ინტერესებს და მეუღლის თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებების ბათილად ცნობას დაუშვებლად მიიჩნევს.

მოძრავი ნივთების ცნებას სსკ-ი არ განსაზღვრავს. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგად წესს სსკ-ის 186-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის თანახმად, მოძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენა ხდება მისი გადაცემით ნამდვილი უფლების საფუძველზე. ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი მის მესაკუთრეა. შესაბამისად, მოძრავი ნივთის შემძენი, რომელიც დებს გარიგებას მხოლოდ ერთ მეუღლესთან, ეყრდნობა ამ ვარაუდს.

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002წ. 9 დეკემბრის განჩინება #3k-932-02 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-3k-932-02.pdf>

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის #as-855-906-2011 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილი ცვლილებამდე შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: “ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა. ეს ნორმა ბუნდოვანია, რაც განსხვავებულ ინტერპრეტაციას განაპირობებდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ საოჯახო კანონმდებლობა არ მოითხოვდა საჯარო რეესტრში მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი (მოდრავი) ქონების მესაკუთრეებად ორივე მეუღლის რეგისტრაციას (რაც ისეთი განმარტების საფუძველიც შეიძლება გახდეს, რომ თანასაკუთრება ავტომატურად წარმოიშობა), ხშირ შემთხვევაში ასეთი ქონება რეგისტრირებული იყო მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე. მას ეს ქონება შეიძლება ერთპიროვნულად განეკარგა, მეორე მეუღლის მოთხოვნით კი გარიგება გაბათილებულიყო. რა საკვირველია ეს პროცესი გაურკვეველ და მეტად პრობლემურ შედეგებს წარმოშობდა მესამე პირების თითოეულ მეუღლესთან ურთიერთობებში (გარიგების დადებაში).

დღესდღეობით სსკ-ის 1160-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ნივთების განკარგვის სადავობის საფუძველი ვერ გახდება ის, რომ ერთ-ერთი მეუღლე არ ფლობდა ინფორმაციას, ან არ იყო თანახმა ამ ნივთის განკარგვის შესახებ. ბუნებრივია, მხოლოდ ეს ვერ გახდება გარიგების ბათილობის საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების უგულვებელყოფასთან. ამასთან არამართლზომიერი იქნება რომ შემძენს (იპოთეკარს, მოგირავნეს და ა.შ) მოვთხოვოთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამოწმოს განმკარგავი პირის უფლებამოსილება ქონებაზე. ეს სამოქალაქო ბრუნვას წარმოუდგენლად გაართულებს და თავდაყირა დააყენებს.³¹ უფრო სწორი იქნება თუ გარიგების გაბათილების მთავარ საფუძვლად მივიჩნევთ შემძენის არაკეთილსინდისიერებას და³² არა რომელიმე მეუღლის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამ გარიგების მიმართ. აქედან გამომდინარე სსკ-ის 1160-ე მუხლში

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 ივლისის #3k-1489-02 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 ივლისის #3k-1489-02 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

გათვალისწინებული უნდა იყოს შემძენის მოქმედება კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით.

უძრავ ნივთებთან დაკავშირებით კი სსკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, “უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მასზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე”. უძრავ ნივთზე უფლებები ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოში სავალდებულო რეგისტრაციას, რომელიც “წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის იურიდიულ ფაქტს და ამავდროულად დარეგისტრირებული უფლებების ერთადერთ მტკიცებულებას. “საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს საჯარო რეესტრის მონაცემების საჯაროობას (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაიცემა ნებისმიერ პირზე) და ასევე მიუთითებს იმაზე, რომ გარიგების დადებისას მესაკუთრის უფლებამოსილება დგინდება მხოლოდ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (მე-10 მუხლის მე-3-4 პუნქტები).

სსკ-ის 183-ე მუხლი გულისხმობს უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობას მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად: “უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე რეგისტრაციას საჯარო რეესტრში”. საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლის რეგისტრაციისას ის გამოდის ერთპიროვნული მესაკუთრე და ივარაუდება არა მეორე მეუღლის თანხმობა, არამედ ის, რომ გამსხვისებლის მეუღლემ უარი თქვა, მოეპოვებინა თანასაკუთრების უფლება გასასხვისებელ უძრავ ქონებაზე. მესამე პირი კი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირებულ ინფორმაციას.³³

სსკ-ის 185-ე მუხლი იცავს უძრავი ნივთის შემძენის ინტერესებს და ადგენს: “შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე”.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის #as-990-1023-2011 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

2.5 მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების შეწყვეტასა და თითოეული მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობას. გაყოფის შემთხვევაში თითოეული მეუღლე მისი კუთვნილი საერთო ქონების ნაწილის დამოუკიდებელი მესაკუთრე ხდება. სსკ-ის 1164-ე მუხლის თანახმად მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც ქორწინების შეწყვეტისას, ასევე ქორწინების განმავლობაში. საერთო საკუთრების გაყოფა შეიძლება მოხდეს:

ა) ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით.³⁴

ბ) კრედიტორების მოთხოვნით მეუღლეთა საერთო საკუთრების გაყოფის შესახებ, ერთ-ერთი მათგანის წილზე ვალის გადახდევინების დასაკისრებლად.

ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში მოხდეს: როდესაც ცოლ-ქმრული ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყვეტილია, ან როდესაც ერთ მეუღლეს განზრახული აქვს მატერიალური დახმარების გაწევა თავისი ნათესავებისთვის, რისთვისაც ნივთების ნაწილის რეალიზება ესაჭიროება, მეორე მეუღლე კი ეწინააღმდეგება ყოველივე ამას.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა ხდება ნებაყოფლობით ან იძულებით (სასამართლო) წესით.

საერთო ქონების ნებაყოფლობითი გაყოფა მეუღლეთა ურთიერთთანხმობით ხორციელდება და სპეციალური შეთანხმების დადების გზით ფორმდება. შეთანხმება მათ მიერ საერთო ქონების გაყოფის შესახებ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა, რომლის შედეგად ხდება საერთო თანასაკუთრების უფლების შეწყვეტა, მეორე მხრივ კი, თითოეული მათგანის ინდივიდუალური საკუთრების უფლების წარმოშობა.

შეთანხმება, საერთო ქონების გაყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს დებულებებს: ა) წილის თაობაზე, რომელიც ქონების გაყოფისას ერგება მეუღლეს (აუცილებელი არ არის, რომ ქონება თანაბრად იყოფოდეს); ბ) მეუღლეებს შორის საერთო ქონების შემადგენლობაში შემავალი ნივთების გადანაწილების თაობაზე.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის №სს-1829-1802-2011 განცხადება ix. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა შეიძლება მოხდეს მესამე პირების, მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის მოვალეების მოთხოვნით, რადგან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვალის ამოღება ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულებების მიხედვით ხდება არა მხოლოდ მისი ინდივიდუალური ქონებიდან, არამედ საერთო საკუთრებაში მისი წილიდანაც. გასათვალისწინებელია, რომ მოვალე ვალდებულების თანახმად, არის მეუღლე, რომელმაც დამოუკიდებლად დადო ხელშეკრულება და შესაბამისად, იგი თავისი კუთვნილი ქონებით აგებს პასუხს ვალების გამო.³⁵

საერთო ქონების გაყოფა შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობა სამემკვიდრეო ქონების გამოყოფის საჭიროება. ასეთ ვითარებაში ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, როგორც მეორე მეუღლის სიცოცხლეში არსებული საერთო თანასაკუთრების მონაწილეს, უნდა გამოეყოს მისი კუთვნილი წილი ქონებიდან, გამოეყოფის შედეგად დარჩენილი ქონება კი თანაბარ წილებად უნდა გაიყოს მემკვიდრეებს შორის. ანდერძის არარსებობისას სამემკვიდრეო წილები სასამართლოს მიერ დგინდება.

მეუღლეებს შორის ქონების გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: მეუღლეთა ქონება, რომელთა მიმართაც წარმოიშობა დავა, სავარაუდოდ მათ ეკუთვნის საერთო საკუთრების უფლებით. უნდა დადგინდეს ქონების შეძენის დრო, მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება-საერთო ქონებად, ხოლო ქორწინებამდე შეძენილი-ინდივიდუალურად მოიაზრება.³⁶ ამიტომ სასამართლოში უნდა დამტკიცდეს არა ის ფაქტები, რომლებსაც კანონი ქონების ერთობლივად ფლობას, სარგებლობას უკავშირებს, არამედ პირიქით – დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც სადავო ქონებაზე საერთო საკუთრების წარმოშობას გამორიცხავენ.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შესახებ დავის განხილვის დროს სასამართლო ვალდებულია, პირველ რიგში, განსაზღვროს გაყოფას დაქვემდებარებული

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის **№ას-1035-1228-08** განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 იანვრის **№ას-1650-1638-2011** განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

ქონების შემადგენლობა. როგორც ვიცით, გაყოფას ექვემდებარება მხოლოდ ნაღდი, ანუ გაყოფის მომენტში არსებული ქონება. რაც შეეხება იმ ქონებას, რომელიც მათ თანასაკუთრებას შეადგენდა, მაგრამ ქონების გაყოფამდე გასხვისდა, იგი არ იღებს მონაწილეობას გაყოფაში.

საერთო ქონების გაყოფის შესახებ დავების გადაწყვეტისას, სასამართლო ვალდებულია არამხოლოდ გამოავლინოს ქორწინების განმავლობაში შეძენილი მთელი ქონება, არამედ დაადგინოს, გაყოფის მომენტისათვის რა ქონება არის სახეზე, ან მესამე პირების კუთვნილებაში.

მეუღლეებს შეუძლიათ არ მოსთხოვონ სასამართლოს მათ შორის კონკრეტული ნივთების გაყოფა, იმ მოსაზრებით, რომ ისინი დამოუკიდებლად მოილაპარაკებენ ამ საკითხზე, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს მხოლოდ მეუღლეების წილები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევებში მეუღლეებს შორის წარმოიშობა დავები არა წილებთან, არამედ სწორედ კონკრეტულ ნივთების გადანაწილებასთან ან მათ ღირებულებასთან დაკავშირებით. მაშინ კი, გადაწყვეტილებაში აუცილებელი წესით უნდა აისახოს მეუღლეებს შორის კონკრეტული ნივთების გადანაწილება. ასეთი მოთხოვნის განხილვისას, სასამართლო ითვალისწინებს ქონებით სარგებლობის ფაქტობრივად დადგენილ წესს, რომელიც შესაძლოა ზუსტად არ შეესაბამებოდეს წილებს საერთო საკუთრების უფლებაში, თითოეული მათგანის საჭიროებასა და ამ ქონების ერთობლივი მოხმარების შესაძლებლობას.

თუ შესაძლებელია ქონების გადანაწილება მეუღლეთა კუთვნილი წილების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია გადასცეს ერთ-ერთ მათგანს ქონება, რომლის ღირებულება აღემატება მის კუთვნილ წილს. ამ სიტუაციაში მეორე მეუღლეს ენიჭება ფულადი კომპენსაციის მიღების უფლება. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს, აქვს თუ არა მეუღლეს კომპენსაციის გადახდის რეალური შესაძლებლობა. თუ დაკისრებული ანაზღაურების გადახდის საშუალება არ არსებობს, კომპენსაცია არ უნდა იქნეს დაკისრებული, სასამართლოს მართებს სხვა იმგვარი გადაწყვეტილების მოძიება, რომელიც არცერთი მეუღლის უფლებებს არ შეზღუდავს.

იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რა ნივთები გადაეცემა თითოეულ მხარეს, სასამართლომ, პირველ რიგში, თვით მეუღლეების სურვილით უნდა იხელმძღვანელოს. როდესაც არ ხერხდება მოდავეთა ინტერესების შეთანხმება და თითოეული მათგანი დაჟინებით მოითხოვს განსაკუთრებით ფასეული ქონების სწორედ მისთვის გადაცემას, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმას, თუ რომელ მეუღლეს უფრო ესაჭიროება ესა თუ ის ნივთი თავის პროფესიულ საქმიანობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მასთან მცხოვრები შვილების აღზრდასთან დაკავშირებით.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ყველა ქონებრივ ურთიერთობაში გამოდის მეუღლეთა სრული თანასწორობის პრინციპიდან. თუმცა კი, ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, თუ დადგინდება, რომ იმ მეუღლის წილის გაუდიდებლად, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილები რჩებიან, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მათი სათანადო აღზრდა.³⁷ აქედან გამომდინარე, პრიორიტეტული, არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებაა (სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სწორედ აღნიშნული მუხლის მეორე და მესამე ნაწილები არეგულირებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების დაცვას, ამ დროს რეალურია იმ მეუღლის წილის გადიდება რომელზედაც მთლიანად გადადის არასრულწლოვანი შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა.³⁸ ამ საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

შვილების ინტერესების მხედველობაში მიღებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადახვევის გარეშეც. მშობელს, ვისთანაც

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის #as-108-388-08 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 დეკემბრის #as-696-976-05 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 აპრილის #as-1338-1460-04 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

შვილი (ან შვილები) რჩებიან, თანაბრად გაყოფილი ქონებიდან გადაეცემა საერთო თანასაკუთრებაში მყოფი ისეთი ობიექტები, რომლებიც აუცილებელია შვილების აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად (მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი), ბავშვებისთვის ყოველდღიურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (ტელევიზორი, სარეცხი და საკერავი მანქანები და სხვა).

3. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების როგორც კანონისმიერ, ისე სახელშეკრულებო სამართლებრივ რეჟიმს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები იმპერატიული ნორმებით რეგულირდებოდა. სხვა სახის შეთანხმება ერთობლივი ქონების თაობაზე კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნეოდა და არ ჰქონდა იურიდიული ძალა. კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში მეუღლეთა ქონებას ძირითადად მოხმარების საგნები შეადგენდა და შესაბამისად “გასაყოფიც” არაფერი იყო. ქონების გაყოფის დროს წილთა თანაბრობა ოჯახების უმრავლესობის ინტერესებს პასუხობდა და ქონებრივი ურთიერთობების სხვა წესით მოწესრიგების საჭიროება არ არსებობდა.³⁹ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პროცესში აუცილებელი ხდება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სხვაგვარი, კანონისგან განსხვავებული რეგულირება. შესაბამისად, სსკ-ი ითვალისწინებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე რეგულირების შესაძლებლობას. სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობას საფუძვლად ედება მეუღლეებს შორის საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება. საქორწინო ხელშეკრულება შესაძლებლობას აძლევს მეუღლეებს თავად განსაზღვრონ ერთმანეთს შორის ქონებრივი ურთიერთობების შინაარსი და სამომავლო შედეგები თავისი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად.

³⁹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, 179-180.

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის არჩევანი ქართულ საოჯახო სამართალში, ისევე როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მეუღლეთა ნებაზეა დამოკიდებული. მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმი საქორწინო ხელშეკრულების დადებით წარმოიშობა და ქონების სამართლებრივი ბედიც მხარეთა სურვილით განისაზღვრება. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მეუღლეები არ დადებენ საქორწინო ხელშეკრულებას, მათი ქონებრივი ურთიერთობები კანონით დადგენილი წესით მოწესრიგდება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად მექსიკის, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მხოლოდ სახელშეკრულებო რეჟიმს იცნობს და, შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულების სავალდებულო წესით დადებას ითვალისწინებს.

გარა ზემოაღნიშნულისა სსკ-ი საშუალებას აძლევს მეუღლეებს თვითონ განსაზღვრონ ერთმანეთისათვის ალიმენტის გადახდის წესი და პირობები ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების დადებით, მაგრამ საქორწინო ხელშეკრულებისგან განსხვავებით ამ ურთიერთობებში მეუღლეებს ნაკლები თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მათ შეუძლიათ შეავსონ კანონის ნორმები, მაგრამ ვერ გამორიცხავენ კანონით დადგენილი ალიმენტის გადახდის ვალდებულებას.

საქორწინო ხელშეკრულების მიზანი, როგორც წესი, არის მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმის შეცვლა ამ რეჟიმის მეუღლეთა მოთხოვნილებებისადმი მაქსიმალური მისადაგების გზით. მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულების არსებობისას, საოჯახო სამართლის ნორმებთან შედარებით უპირატესობა ხელშეკრულებას ეკუთვნის.

მეუღლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინებამდე დაიდება, იგი ძალაში ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა და შესაბამისად, ამ მომენტიდან წარმოიშობა მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმიც.

მეუღლეებმა სახელშეკრულებო რეჟიმი შეიძლება გაავრცელონ, როგორც მთლიან ქონებაზე, ისე მხოლოდ ქონების ნაწილზე. თუ საქორწინო ხელშეკრულება მთელ

ქონებას არ მოიცავს, იმ ქონებაზე, რომელიც მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს მოექცევა მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმში.

თავის მხრივ, სახელშეკრულებო რეჟიმი შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა ქონების სამი სახის საკუთრებას: თანაზიარს, წილობრივსა და გამცალკევებულს. მეუღლეებს შეუძლიათ დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე, ან ინდივიდუალური ქონება გარდაქმნან საერთო ქონებად და პირიქით. წილობრივი საკუთრების რეჟიმის ნიშნავს იმას, რომ მეუღლეთა მთელი ქონება გადადის მათ საერთო წილად საკუთრებაში.

მეუღლეთა მთელ ქონებაზე განცალკევებული საკუთრების რეჟიმის დადგენისას საერთო ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულების დებულებებით. ზოგადად განცალკევებული რეჟიმი გულისხმობს, რომ ქორწინებაში თითოეული მეუღლის მიერ შეძენილი ქონება მიეკუთვნება ამ მეუღლეს. თუმცა კი ნებადართულია ნებისმიერი სახის შერეული რეგულირების დადგენა, შეთავსება საერთო, წილობრივი და განცალკევებული საკუთრების რეჟიმებისა.

3.1 საქორწინო ხელშეკრულების ცნება და დადების წესი

საქორწინო ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. კანონმდებელი საქორწინო ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას არ განსაზღვრავს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ “მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას (სსკ-ის 1172-ე მუხლი).”

იურიდიულ ლიტერატურაში საქორწინო ხელშეკრულება განმარტებულია, როგორც “მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში და განქორწინების შემთხვევისათვის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე

მიღწეული შეთანხმება”⁴⁰. სხვაგვარად, საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას. ⁴¹

საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები არიან მეუღლეები, თუმცა შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ დაქორწინება (სსკ-ის 1173-ე მუხლი).

საქორწინო კონტრაქტის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობები. რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების მოქმედებას დროში, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო. თუ ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ მეუღლეები ერთად ცხოვრებას აგრძელებენ, მათი ქონებრივი ურთიერთობები დაექვემდებარება კანონისმიერ რეჟიმს.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო ხელშეკრულება დადებული ქორწინების რეგისტრაციამდე ძალაში შევა ქორწინების შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. მანამდე ის არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქორწინო ხელშეკრულება არის დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს შორის გარკვეული ვადით ან უვადოდ დადებული გარიგება, რომლითაც გარიგების მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების დადების წესს, სსკ-ის 1173-ე მუხლის თანახმად, “საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ.” საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო დასაქორწინებელ პირებს შორის, ძალაში შედის მხოლოდ ქორწინების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან. ხოლო რაც შეეხება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებულ ხელშეკრულებას, იგი ძალაში შედის მეუღლეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით

⁴⁰ Brady D., Family law and Polital Culture, London , 1996; ვლთ.: შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი , 2009, 174.

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000, 129.

გაფორმებული ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, თვით ქორწინების ფაქტს მოჰყავს საქორწინო ხელშეკრულება ძალაში და ანიჭებს მას იურიდიულ ძალას.⁴²

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და დასტურდება სანოტარო წესით (სსკ-ს 1174-ე მუხლი). ეს ნორმა იმპერატიულია და მისი შეცვლა მხარეების შეთანხმებით დაუშვებელია. კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობა იწვევს საქორწინო ხელშეკრულების ბათილობას. ასეთი მოთხოვნა დაკავშირებულია საქორწინო ხელშეკრულების განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან, როგორც თავად მეუღლეებისათვის, ისე მესამე პირებისათვის. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრისას საჭიროა გარკვეულობისა და განსაზღვრულობის უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შედეგად. ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს საქორწინო ხელშეკრულების მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა და შესრულებული სანოტარო აქტის შედეგები.

საქორწინო ხელშეკრულების დადება მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ “თუ საქორწინო ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.”⁴³

საქორწინო კონტრაქტის დადების საკითხი უკავშირდება მისი მხარეების სამართალსუბიექტურობის საკითხს. რადგან სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან, ხოლო დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით.

ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, როგორც ცნობილია, არასრულწლოვანი პირი (მეუღლე) იძენს სრულ ქმედუნარიანობას და შეუძლია დამოუკიდებლად დადოს საქორწინო ხელშეკრულება.

ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირები არ შეიძლება იყვნენ საქორწინო კონტრაქტის მხარეები. თუ ისინი გააფორმებენ ამ ხელშეკრულებას, ხოლო შემდეგ

⁴² თუმანიშვილი გ. გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, გამომც. “უნივერსალი”, 2010, 81.

⁴³ შენგელია, რ., შენგელია, ე., საოჯახო სამართალი, 174.

დაქორწინდებიან, საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ შეიძენს იურიდიულ ძალას.

ამდენად, საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები არიან მეუღლეები და პირები, რომლებსაც განზრახული აქვთ დაქორწინება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთგვაროვანი აზრი, დაიშვება თუ არა საქორწინო კონტრაქტის გაფორმება მინდობილობის საფუძველზე. იმდენად, რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულება განეკუთვნება პირადი ხასიათის ხელშეკრულებათა რიცხვს, იგი არ შეიძლება დაიდოს მეუღლის კანონიერი წარმომადგენლის ან რწმუნებულის მიერ.

3.2 საქორწინო ხელშეკრულებით მოწესრიგებადი ურთიერთობები

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შექმნილ ქონებაზე (სსკ 1176-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მეუღლეებს ასევე შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ როგორც თითოეული მეუღლის მიერ შემოსავლებში მონაწილეობის, ისე ხარჯების გაწვევის წესი და ის ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ერგება ქორწინების შეწყვეტისას (სსკ-ის 1177-ე მუხლი). თუკი მხარეები საქორწინო ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინებენ რაიმე ქონებას, მასზე გავრცელდება კანონისმიერი რეჟიმი.

მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებლობა ეძლევათ შეთანხმდნენ ქონებაზე შერეული რეჟიმის დადგენაზე, კერძოდ, ქონების ნაწილზე დაადგინონ საერთო საკუთრების რეჟიმი, ნაწილზე – განცალკევებული საკუთრების რეჟიმი. ასევე შესაძლებელია ინდივიდუალური საკუთრება შეცვალონ საერთო საკუთრებით ან პირიქით. გარდა ამისა, სსკ-ის 1176-ე მუხლის მე-3 ნაწილი უფლებას აძლევს მეუღლეებს, სურვილის შემთხვევაში, გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება.

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის მოქმედებას დროში, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო (წინასწარ განუსაზღვრელი ვადით).

თუ ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ მეუღლეები ერთად ცხოვრებას აგრძელებენ, მათი ქონებრივი ურთიერთობები დაექვემდებარება კანონისმიერ რეჟიმს. თუკი საქორწინო ხელშეკრულება დადეს ქორწინებაში მყოფმა მეუღლეებმა, მათ საშუალება აქვთ ამ ხელშეკრულების პირობები გაავრცელონ წარსულში შეძენილ ქონებაზე.

როგორც ვხედავთ საქორწინო ხელშეკრულება საკმაოდ დიდ თავისუფლებას ანიჭებს მეუღლეებს მიაღწიონ კონსენსუსს ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების დროს.

3.3 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა და საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ

სსკ-ის 1122-ე მუხლის მიხედვით საქორწინო კონტრაქტი შეიძლება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით; 2. კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით; 3. განქორწინებით;

საქორწინო კონტრაქტი კანონით დადგენილი საფუძვლების მიხედვით შესაძლოა მათ შორის ურთიერთშეთანხმებით ან კონტრაქტის ვადის გასვლითაც შეწყდეს. კანონმდებელი “საქორწინო კონტრაქტის” შეწყვეტის საფუძვლად ხაზგასმით აღნიშნავს განქორწინების ფაქტის არსებობას (სსკ-ის 1180-ე მუხლის მე-3 ნაწილი). აქ ნათელია კანონმდებლის მიდგომა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. კანონმდებელი საქორწინო კონტრაქტის მოქმედებას უკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ ქორწინებისა და განქორწინების იურიდიულ ფაქტს. ქორწინება შეწყვეტილდ ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. ამ მიდგომის სიბრტყეში, სრულიად უგულვებელყოფილია საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკა. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტისთვის დამახასიათებელი თვისება, რომ ის იწყებს თავის “აქტიურ მოქმედებას”, და მისი მნიშვნელობა და შესაძლებლობანი თავს იჩენს განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომისას და მის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ მეუღლეთა შორის ქონებრივი დავა განქორწინების საქმესთან ერთად იხილება. სხვა შემთხვევაში მეუღლეებს

განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომის შემდგომ სამი წლის განმავლობაში აქვთ უფლება დააყენონ თავიანთი ქონებრივი მოთხოვნები და მოსთხოვონ მეორე მხარეს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების დასრულება.

ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნია ავღნიშნოთ, რომ საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ იმ მომენტის დადგომისას, როდესაც საქორწინო კონტრაქტში გათვალისწინებული პირობები (ვალდებულებები) შესრულდება სრულად. ამ მტკიცებულების სამართლებრივი საყრდენი არის ის გარემოება, რომ არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო კონტრაქტში გაითვალისწინონ ისეთი პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულება დგება განქორწინების შემდეგ პერიოდში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქორწინო კონტრაქტი ძალაშია იმ დრომდე, სანამ არსებობს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.

საქორწინო კონტრაქტი, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამრიგად მისი დადება და შეწყვეტა მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. სსკ-ის 1180-ე მუხლის მეორე ნაწილი გასაგებად აყალიბებს კანონმდებლის პოზიციას განხილულ საკითხთან მიმართებაში. კანონმდებელი იმპერატიული ხასიათის ნორმით კრძალავს საქორწინო კონტრაქტის ცალმხრივ, თვითნებურ მოშლას რომელიმე ერთი მხარის მიერ. მეუღლეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე მეუღლე, თუ კრედიტორთან ურთიერთობისას წამოიჭრა ქონებრივი დავა, ვერ დაეყრდნობა საქორწინო კონტრაქტს და მასში არსებულ სამართალმდგომარეობებს. ამდენად მოვალე მეუღლე ვალდებული იქნება დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შეცვლილი იყოს მოვალე-მეუღლის მატერიალური მდგომარეობა (მაგალითად: მოვალე მეუღლის ქონება გადავიდა მეორე მეუღლის საკუთრებაში, ან გადაიქცა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ან შემცირდა მოვალე-მეუღლის წილი მეუღლეთა საერთო საკუთრებაში და სხვა...). თუ არ

არსებობს დადასტურება იმისა, რომ კრედიტორი შეტყობინებული იყო კონტრაქტის ტექსტში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, მოვალე-მეუღლე ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. შესაბამისად, კრედიტორებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია როგორც საქორწინო ხელშეკრულების არსებობის, ასევე მისი შინაარსის თაობაზე, რათა დროულად მიიღონ ზომები თავიანთი ინტერესების დასაცავად.

თუ კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ მეუღლეები გარიგების პირობების შეცვლაზე ვერ შეთანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გარიგება მოშალოს ზოგადი წესით, ან შეცვალოს ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მოვალის მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესების საფუძველზე, შესაძლებელია სამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევებში მაგალითად: გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ერთ-ერთ მხარეს აყენებს მნიშვნელოვან ზიანს, ან სხვა.

თუ მეუღლეები, კრედიტორთან შეთანხმებით, მოშლიან ან შეცვლიან გარიგების პირობებს, ასეთ შემთხვევაში, ახალი პირობები ან გარიგების მოშლა ძალაში უნდა ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმების მომენტიდან (ფორმის დაცვით), თუ ახალი გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი განიხილავს საქორწინო კონტრაქტს, როგორც ჩვეულებრივი ხასიათის გარიგებას, და ამრიგად, ავრცელებს მასზე გარდა კანონით დადგენილი სპეციალური საფუძვლებისა ასევე გარიგების შეწყვეტის საერთო პრინციპებს.

ზემოაღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც საოჯახო კანონმდებლობა (პირდაპირ) არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით მოვალე მეუღლემ უნდა გააცნოს (“უნდა გააცნოს – ესე იგი “ვალდებულია გააცნოს) კრედიტორს ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლის საკითხს.

4. მეუღლეთა საერთო ვალები და მისი დაფარვის წესი

როგორც, ცნობილია, მეუღლეთა ქონების შემადგენლობაში მოიაზრება არა მარტო ნივთები და მოთხოვნის უფლებები, არამედ შესრულების ვალდებულებებიც (მაგალითად, დაუფარავი სესხი). ამასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი მესამე პირების მიმართ მეუღლეთა იმ სავალო ვალდებულებებზე, რაც წარმოიშობა ქორწინების განმავლობაში მეუღლეების (ან ერთ-ერთი მათგანის) მიერ დადებული გარიგების საფუძველზე. სავალო ვალდებულებების გამო მეუღლეების პასუხიმგებლობის წესი განისაზღვრება სავალო ვალდებულების ხასიათითა და მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით.

მეუღლეს ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძლება ჰქონდეთ როგორც პირადი, ისე საერთო ვალები. პირადი ვალები გადახდევინებას ექვემდებარება მოვალე მეუღლის ქონებიდან, ასეთად ვალი ჩიათვლება თუ ის აღებულია ერთ-ერთი მეუღლის ქორწინებამდე, ან ქორწინების დროს, მაგრამ დაკავშირებულია ერთ-ერთი მეუღლის პირად მიზნებთან და არ ისახავდა მეორე მეუღლის ან მთლიანად ოჯახის საჭიროების დაკმაყოფილებას. თუ ვალის დასაფარავად საკმარისია მისი ინდივიდუალური ქონება, მაშინ გადახდევინება მისგან მოხდება. მაგრამ, თუ მოვალე მეუღლეს სურს ვალის გადახდა თანაზიარი საკუთრებაში მისი წილიდან ან ინდივიდუალური საკუთრება არ ყოფნის ვალის დაფარვას, მაშინ უნდა მოხდეს საერთო ქონების გაყოფა და მოვალე მეუღლის ვალდებულების შესრულება. მეორე მეუღლე ამ მეუღლის ვალისათვის პასუხს არ აგებს და მისი ინდივიდუალური წილიდან და წილიდან თანაზიარი საკუთრებაში გადახდევინება არ მოხდება.

საერთო ვალად ითვლება ის ვალი, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის ან თუნდაც ერთ-ერთის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის ან ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებას მხოლოდ ერთი მეუღლე კისრულობს, მხოლოდ სუბიექტური ფაქტორიტ ვერ ვიმსჯელებთ. აუცილებელია დადგინდეს ვალდებულების წარმოშობის დრო, მიზანი და ვალდებულებით მიღებული თანხების დანიშნულება. ერთ-ერთი მეუღლის ვალი მიერ აღებული ვალი ჩაითვლება საერთო ვალად, თუ იგი მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს და არა ამ მეუღლის პირადი სურვილების დაკმაყოფილებას. ასეთი ვალი გადახდილ უნდა იქნეს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებიდან. სწორად გადაწყვიტა დავა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე, როცა არ დააკმაყოფილა კასატორი მეუღლის საჩივარი და უცვლელად დატოვა ქუთაისი საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც ამ მეუღლეს დაეკისრა ვალის ამღებ მეუღლესთან ერთად თანხის დაბრუნება, რადგან დადგინდა აღებული ვალის ოჯახის ინტერესებისათვის დახარჯვის ფაქტი. კერძოდ, ვალის ამღებმა მეუღლემ თანხა გამოიყენა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელად და იქ მუშაობით აღრჩენდა ოჯახს. შესაბამისად, ვალის გადახდა დაეკისრა ორივე მეუღლეს.⁴⁴

მეუღლეთა საერთო ვალები იყოფა მეუღლეებს შორის საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად, პასუხისმგებლობა საერთო ვალების გამო ორივე მეუღლეს ეკისრება და ისინი პასუხს აგებენ როგორც პირადი, ასევე საერთო ქონებითაც (სსკ-ის 1170-ე მუხლი).⁴⁵ ამ შემთხვევაში გადახდევინება ეკისრება საერთო ქონებას, ხოლო თუ არასაკმარისი აღმოჩნდება, მეუღლეები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავიანთი ინდივიდუალური ქონებით. მეუღლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს მევალეს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინება

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 4 იანვრის #as-606-885-05 განჩინება იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინება N ას-1035-1228-08 ix იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf>

ნებისმიერი მეუღლის ქონებაზე – მოთხოვნის როგორც მთელი, ისე ნაწილობრივი დაკმაყოფილების მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით (სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზე გადახდევინება არ ვრცელდება.

მეუღლეები პასუხს აგებენ ასევე მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ სხვისთვის მიყენებული ზიანის გამო (სსკ-ის 994-ე მუხლი). ამ დროს მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა ხდება დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. მშობლები ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების პასუხს აგებენ ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის. მშობლების მიერ ზიანის ანაზღაურება ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა საერთო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ხორციელდება.

5. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობა, გარდა საკუთრებითი ურთიერთობებისა, აუცილებლად გულისხმობს ერთმანეთისადმი მატერიალური დახმარების აღმოჩენის მოვალეობასაც. ცხადია, ნორმალური ურთიერთობის პირობებში მეუღლეები მატერიალურად ეხმარებიან ერთმანეთს ნებაყოფლობით, ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად და არა კანონის ძალით. ალიმენტის მოთხოვნას, როგორც წესი, მეუღლეები მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა ზნეობრივი ურთიერთობები მათ შორის და ამის გამო აუცილებელი ხდება ერთი მეუღლის მიერ მეორის რჩენისათვის საჭირო სახსრების ოდენობის განსაზღვრა, აგრეთვე საალიმენტო ვალდებულებების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა.

კანონით დადგენილი საალიმენტო ვალდებულება გულისხმობს მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის სოციალურ უზრუნველყოფას, დახმარებას. მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია სარჩოს მისაღებად. როდესაც ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ნებაყოფლობით დაეხმაროს მეორეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, მას შეიძლება იძულებითი წესით დაეკისროს სარჩოს (ალიმენტის) გადახდა მეორე მეუღლის სასარგებლოდ.

საალიმენტო ვალდებულება მეუღლეებს შორის თანაზიარ ხასიათს ატარებს. საალიმენტო უფლება-მოვალეობა ატარებს მკაცრად განსაზღვრულ პირადულ ხასიათს. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული როგორც ალიმენტის მიმღების, ისე მისი გადამხდელის პიროვნებასთან. საალიმენტო უფლება განუსხვისებელია. დაუშვებელია მისი გადაცემა სხვა პირზე. ამიტომაც, რომ საალიმენტო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის სიკვდილი იწვევს ამ ვალდებულების მოსპობას.

საალიმენტო ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესრულება პერიოდული, თვიური გადასახდელების სახით ხდება, აქვს განგრძობითი ხასიათი. ეს იმას გულისხმობს, რომ პირის უფლება მიიღოს ალიმენტი, შეიძლება განხორციელდეს მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე არსებობს პირობები, რომლებიც საფუძვლად უდევს საალიმენტო უფლება-მოვალეობათა წარმოშობას. ამიტომ ალიმენტის გადახდის

მოთხოვნა შეიძლება ყოველთვის აღიძრას და იგი გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე მეუღლე არ აღიდგენს შრომის უნარს და მისთვის მატერიალური დახმარების გაწევა აღარ იქნება საჭირო.

5.1 სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი მეუღლე, სარჩოს ოდენობა და მისი განსაზღვრის წესი

სარჩოს მიცემის თაობაზე მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს და ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სსკ-ის 1182-ე მუხლი). ამასთან, იმისთვის, რომ ამ პირებმა მიიღონ ალიმენტი მეუღლისაგან, ისინი უნდა იყვნენ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში. მეუღლეთა ურთიერთრჩენის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მათი ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება ქორწინების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ უფლებას შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც იმ პირობით, რომ შრომისუუნარობა დადგა განქორწინებამდე ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში.

გერმანიის საოჯახო კანონმდევლობა მეუღლეს უფლებას აძლევს მოითხოვოს მეორე მეუღლისაგან სარჩო შემდეგ შემთხვევებში: ბავშვზე ზრუნვის (გსკ-ის \$1570), მოხუცებულობის (\$1571), ავადმყოფობის და ფიზიკური ნაკლის გამო (\$ 1572), ასევე უმუშევრობის დროს, ხოლო თუ მუშაობს, მაგრამ სამუშაოდან მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი, შეუძლია მოითხოვოს რჩენა სრულ სარჩოსა და შემოსავლებს შორის სხვაობის სახით. როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო სამართალთან შედარებით, გერმანიის სამოქალაქო სამართალში მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა ბევრად ფართოდაა წარმოდგენილი. შრომისუუნარიან მეუღლესაც ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს სარჩო დამატებით თავის შემოსავლებზე, თუ ისინი მისთვის საკმარისი არ არის ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გსკ-ისგან

განსხვავებით სსკ-ი შრომისუნარიან მეუღლეს მატერიალური დახმარების საჭიროების გამო სარჩოს მღების უფლებას არ ანიჭებს.

მეუღლის მიერ მატერიალური დახმარების მისაღებად აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა. ესენია: ა) მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა; ბ) იმ მეუღლის შრომისუნარობა, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს და ამის გამო პრეტენზიას აცხადებს ალიმენტის მიღებაზე და გ) მეორე მეუღლის შესაძლებლობა მისცეს მას სარჩო.

საოჯახო კანონმდებლობა არ იძლევა “შრომისუნარობისა” და “მატერიალური დახმარების საჭიროების” ცნებას. სასამართლო შრომისუნაროდ აღიარებს როგორც იმ პირს, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს საერთო წესით (მამაკაცები 65 წლიდან, ქალები კი – 60 წლიდან), აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

ალიმენტზე უფლება მეუღლეებს წარმოეშობათ, მიუხედავად იმისა, თუ რით არის განპირობებული შრომისუნარობა – საყოფაცხოვრებო ტრავმით, შრომითი დასახიჩრებით, თუ საერთო ან პროფესიული დაავადებით და ა.შ. ან როდის დადგა იგი: განქორწინებამდე, ქორწინების განმავლობაში თუ განქორწინების შემდეგ. აუცილებელი, რომ შრომისუნარობა სახეზე იყოს სასამართლოში სარჩელის განხილვის მომენტში.

სასამართლო პრაქტიკაში დგას საკითხი, შეიძლება თუ არა უარი ეთქვას საალიმენტო მოთხოვნაზე იმ განქორწინებულ მეუღლეს, რომელმაც დაქორწინების დროს დაუმალა მეორე მეუღლეს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამაც შრომისუნარობა გამოიწვია. სსკ-ის 1184-ე მუხლი ჩამოთვლის იმ პირობებს, რომელიც იწვევს მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან გათავისუფლებას ან ამ მოვალეობის შეზღუდვას განსაზღვრული ვადით. ამ პირობათა შორის დაქორწინებისას ჯანმრთელობის მდგომარეობის დაფარვა გათვალისწინებული არ არის, ამიტომ იგი არ შეიძლება გახდეს განქორწინებული ერთ-ერთ მეუღლის საალიმენტო სარჩელზე უარის თქმის ან ამ მოვალეობის განსაზღვრული ვადით შეზღუდვის საფუძველი.

მატერიალური დახმარების საჭიროებაში იგულისხმება მეუღლისათვის იმ სახსრების უქონლობა, რომელიც მისი არსებობისათვის არის საჭირო. არესობისათვის საჭირო სახსრების უქონლობის მტკიცებულებაა არა მხოლოდ რაიმე საარსებო წყაროს

არარსებობა, არამედ ასევე წყაროების არასაკმარისობა მინიმალური, არსებობისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, მეუღლის ან ყოფილი მეუღლის ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს ყოველთვიური გადახდის სხვა ფორმებზე ან სარჩოს გადახდის სხვაგვარ პერიოდულობაზე.⁴⁷

მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი ფულადი თანხის სახით, მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას, თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს სარჩოს ოდენობის შეცვლის შესახებ, ამ საკითხით უმეტესად ის მეუღლე რომელიც არჩენს მეორე (ყოფილ მეუღლეს) მაშინ მიმართავს, როდესაც მკვეთრად უმჯობესდება სარჩოს მიმღები მეუღლის მატერიალური მდგომარეობა (მაგალითად, პენსია ან რაიმე კომპენსაცია ენიშნება).

5.2 რჩენის მოვალეობისგან განთავისუფლება

მეუღლისთვის (ყოფილი მეუღლისათვის) სარჩოს მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს გადამხდელი მეუღლის ქონებრივ (მატერიალურ) მდგომარეობას, მათ შორის ქონებრივი ხასიათის მოვალეობების არსებობას მესამე პირების მიმართ (მაგალითად, არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას და ა.შ.), ასევე ამ მეუღლის ხელფასის, პენსიის ან სხვა შემოსავლის ოდენობას, მის საჭიროებებს და მეუღლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკისრებს ალიმენტის გადახდას მეუღლის (ყოფილი მეუღლის) სასარგებლოდ, თუ მას შესწევს გადახდის უნარი.

მეუღლეთა მატერიალური შესაძლებლობების განსაზღვრისას, მატერიალური მდგომარეობის გარდა, მხედველობაში მიიღება მეუღლეების ოჯახური მდგომარეობა.

⁴⁶ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომც. “მერიდიანი”, თბ., 2009, 190.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განჩინება #ას-28-27-2010 იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20114.pdf>.

კერძოდ, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ალიმენტის გადახდაზე ვალდებული მეუღლის კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა (შვილები და სხვა), რომელთა რჩენაც მას ევალება, მეორე მხრივ კი – ისიც, რომ შრომისუუნარო მეუღლისათვის, რომელსაც დახმარება სჭირდება, ალიმენტის გადახდა მეუღლესთან ერთად სრულწლოვან შვილებსაც ეკისრებათ.

ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა, რომელიც გამოწვეულია ალკოლჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით, სარჩოს მიმცემი მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს რჩენის მოვალეობის ნაწილობრივ ანდაც სრულად გათავისუფლება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამგვარი მოქმედება ეწინააღმდეგება მორალისა და სამართლის ნორმებს. სარჩოს მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი წარმოადგენს საფუძველს სარჩოს მიმცემი მეუღლის უარის თქმის საფუძველს, იმისგან დამოუკიდებლად, ასეთ საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე, ქორწინების განმავლობაში, თუ განქორწინების შემდეგ.

ქორწინებაში მეუღლეთა ხანმოკლე დროით ყოფნა შესაძლებელია საფუძველად დაედოს პირის გათავისუფლებას მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან. კანონით არ არის განსზღვრული, თუ რა ითვლება მეუღლეთა ხანმოკლე დროით ქორწინებად, ისევე როგორც მეუღლეთა უღირსი საქციელის ცნება. საკითხს ორივე შემთხვევაში წყვეტს სასამართლო. ქორწინება, რომლის ხანგრძლივობაც განსაზღვრულია ერთ წლამდე ნაკლები ვადით, უდავოდ ითვლება ხანმოკლე ქორწინებად. ასეთ შემთხვევაში, უფრო ხშირად არსებობს საფუძველი რჩენის დაკისრებაზე უარის თქმისათვის, ასევე მეუღლის უღირს საქციელად უნდა ჩაითვალოს მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, მძიმე სამართალდარღვევა და ა.შ.

მეუღლისგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა, თუ აღარ არსებობს ის საფუძველები რომლებმაც განაპირობეს ერთი მეუღლის მიერ, მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულება, კერძოდ: ა) იმ მეუღლის შრომის უნარის აღდგენა, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა; ბ) დახმარების საჭიროების მოსპობა (მაგალითად, პენსიის დანიშვნა); გ) იმ მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლა, რომელიც ალიმენტს

იხდის, რის გამოც მას აღარ შეუძლია მისცეს სარჩო მეუღლეს; დ) ორსულობის შეწყვეტა ან ბავშვისათვის 3 წლის შესრულება.

საალიმენტო ვალდებულება მოისპობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სარჩოს მიმღები განქორწინებული მეუღლე თვინებურად მიატოვებს ოჯახს (მაგალითად, ერთ-ერთმა მეუღლემ განქორწინების გარეშე მიატოვა მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები, წლების შემდეგ უკვე მოხუცებულმა აღძრა საალიმენტო სარჩელი. სასამართლომ უფლებამოსილია ცნოს მისი მოქმედება, როგორც “უღირსი საქციელი” და უარი უთხრა მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე). მიზანშეწონილია, კანონში პირდაპირ მიეთითოს სასამართლოს უფლებაზე გაათვისუფლოს ერთი მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან განქორწინების გარეშე ცალ-ცალკე ცხოვრების ხანგრძლივობისა და მოტივების გათვალისწინებით). ან ხელახლა დაქორწინდება.

მეუღლის რჩენის მოვალეობა მოისპობა იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვლება.

5.3 მეუღლეთა საალიმენტო შეთანხმება

საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტის მოწესრიგება. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი ბედის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე. რაც შეეხება ისეთ ქონებრივ ვალდებულებას, როგორცაა მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, ამ შემთხვევაში კანონმდებელი უფრო ფრთხილია, რაც განპირობებულია მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. მეუღლეთა ურთიერთრჩენასთან დაკავშირებული ურთიერთობები ნაკლები დისპოზიციურობით ხასიათდება, ვიდრე მეუღლეთა ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. მეუღლეთა მიერ ერთმანეთის მიმართ მატერიალური დახმარების წესი, სარჩოს ოდენობა შეიძლება განისაზღვროს წერილობით შეთანხმებაში (მეუღლეთა საალიმენტო შეთანხმება), რომელიც ექვემდებარება სანოტარო დამოწმებას.⁴⁸ მეუღლეთა საალიმენტო შეთანხმება არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება,

⁴⁸ შოშიაშვილი ნ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში, დისერტაცია, თბ., 129

რომლითაც ერთი მეუღლე კისრულობს ვალდებულებას მისცეს მატერიალური სარჩო მეორე მეუღლეს ურთიერთშეთანხმებული პირობებით. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობისგან განსხვავებით საალიმენტო შეთანხებაში მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ურთიერთრჩენის მოვალეობასთან დაკავშირებული საკითხები, გააფართოვონ კანონში მოცემული შესაძლებლობის ფარგლები, დაადგინონ პირობები, რომლებიც ავსებენ ნორმებს, მაგრამ არ შეუძლიათ ურთიერთრჩენის ვალდებულების გაუქმება. ასეთ დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში კანონისთ დადგენილი საფუძვლების არსებობისას, მეუღლეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს სასამართლოს დანიშვნა. საალიმენტო ურთიერთობის მონაწილეებს უფლება არ აქვთ ასევე შეზღუდონ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გამოყენების ფარგლები.

ხელშეკრულებით დადგენილი ცოლქმრული სარჩო მიზნობრივი დანიშნულებით განსხვავდება კანონით დადგენილი ცოლქმრული ურთიერთრჩენისაგან, რომლის დანიშნულებასაც სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ცოლქმრული სარჩო გაცილებით ფართო ცნებაა. საალიმენტო შეთანხმების საფუძველზე სარჩოს გადახდა დამოკიდებულია მეუღლეებს შორის შეთანხმებულ ყველა პირობაზე.

მეუღლეთა საალიმენტო ხელშეკრულებაში შეიძლება შედიოდეს პირობა სარჩოს გადახდისგან გათავისუფლების შესახებ, თუ ქორწინება წყდება მისი გაფორმებიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში, ან განქორწინება ალიმენტის მომთხოვნის მეუღლის უღირსი საქციელის მიზეზით ხდება.

6. მეუღლეთა საკუთრებითი ურთიერთობის კოლიზიური საკითხები და გამოსაყენებელი ობიექტური და სუბიექტური მიმაგრების ფორმულები საერთაშორისო კერძო სამართალში

დღესდღეისობით მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ აქტუალური ხდება, როდესაც სახეზე გვაქვს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირად ვაწყდებით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის კოლიზიური საკითხებს. სამწუხაროდ, მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმები ზოგ შემთხვევაში თავის ზედაპირულობისა და მთელი რიგი ხარვეზების გამო ქმნიან ნორმათა არასწორ ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, საკითხის არასრულყოფილად ჩამოყალიბება თავად წარმოშობს გარდაუვალ კონფლიქტებს, ხშირ შემთხვევაში მყარი სამოქალაქო ბრუნვის მტერიც კი ხდება.⁴⁹ ამიტომაც, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობა.

მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა, რომ უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბდეს საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ,” აღმოფხვრილ იქნას მთელი რიგი ხარვეზები და დეტალურად გათვალისწინებულ იქნას ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დაკავშირებულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის კოლიზიურ საკითხებთან.

ბუნებრივია, ჩნდებ კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სამართლით უნდა იქნას დარეგულირებული მეუღლეთა შორის წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში საინტერესოა კოლიზიური საბამის (მიმაგრების ფორმულის) განსაზღვრა.⁵⁰ კოლიზიური სამართლის დოქტრინაში მას “მიმაგრების ფორმულა” ეწოდება.⁵¹

⁴⁹ ზოიძე ო., “მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი,” ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი, 2004წ. 26.

⁵⁰ საბამი (მიმაგრება) - ეს არის კოლიზიური ნორმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული კოლიზიური ნორმის მოცულობაში აღწერილი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის.

⁵¹ გაბისონია ზ. “ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი,” გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2006წ. 76.

მიმაგრების ფორმულა პირობითად შეგვიძლია ორ სახედ დავყოთ, ეს არის სუბიექტური მიმაგრების ფორმულა და ობიექტური მიმაგრების ფორმულა.⁵²

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური სამართლის ნორმები მეუღლეთა ქონებრივი უფლებების მიმართ საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. ამ მხრივ გამოირჩევა საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.”⁵³ . მოცემული კანონის 45-ე მუხლი ითვალისწინებს ქორწინების შედეგებს და უთითებს, თუ რომელი მიმაგრების ფორმულა უნდა იქნას გამოყენებული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობებისას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს არ აურჩევიათ ქონებრივი ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ მათ შორის ურთიერთობებს არეგულირებს კანონი და უთითებს, თუ რომელი მიმაგრების ფორმულა უნდა იქნას გამოყენებული.

6.1 ობიექტური მიმაგრების ფორმულა

6.1.1 მეუღლეთა მოქალაქეობის ქვეყნის კანონი

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება შემდეგი ობიექტური მიმაგრების ფორმულები: 1. მოქალაქეობის ქვეყნის კანონი; 2. მეუღლეთა ერთობლივი ადგილსამყოფელის კანონი; 3. ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის კანონი; 4. ნივთის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონი.

არაერთი ქვეყნის კოლიზიური სამართალი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებისას მხარს უჭერს მეუღლეთა პირად კანონს. გადამწყვეტ როლს თამაშობს მეუღლეთა საერთო მოქალაქეობა. მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ურთიერთობები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები.⁵⁴ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თუ სახეზე არ არის საერთო მოქალაქეობა, მაშინ ზემოაღნიშნული ქვეყნების კოლიზიური სამართალი მანც

⁵² იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ირჩევენ გამოსაყენებელ სამართალს, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სუბიექტური მიმაგრების ფორმულა, ხოლო როდესაც კოლიზიური ნორმა თავად განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნის სამართალია გამოსაყენებელი, სახეზე გვაქვს ობიექტური მიმაგრების ფორმულა.

⁵³ საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ,” 1998წ.

⁵⁴ ასეთ ქვეყნებს განეკუთვნებიან ჩეხეთი, პოლონეთი, პორტუგალია.

ერთგული რჩება მოქალაქეობის პრინციპისა და უთითებს, რომ საკითხი გადაწყდეს იმ ქვეყნის სამართლით, რომლის უკანასკნელი ერთობლივი მოქალაქეობაც ჰქონდათ მათ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა.⁵⁵

ქართული კოლიზიური სამართალიც მხარს უჭერს მეუღლეთა მოქალაქეობის ქვეყნის კანონს. კანონში მითითებული ტერმინი “განკუთვნებადობა” უნდა გავაიგივოთ მოქალაქეობასთან. უკეთესი იქნებოდა კანონში პირდაპირ მითითებული ყოფილიყო მეუღლეთა მოქალაქეობაზე და არა განკუთვნებადობაზე, რათა არ მოხდეს ხშირ შემთხვევაში კოლიზიური ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირებისას ა არის აუცილებელი ქორწინების მთელ პერიოდში მეუღლეები იყვნენ ერთიდაიგივე ქვეყნის მოქალაქეები, რათა ამ ქვეყნის სამართლის გამოყენება მოხდეს. ამისთვის საკმარისია მეუღლეები ქორწინების უკანასკნელ მომენტში იყვნენ მოცემული ქვეყნის მოქალაქეები. კანონმდებელი ერთგული რჩება მოქალაქეობის პრინციპისა და უპირატესობასაც მას ანიჭებს.

როგორც უკვე აღინიშნა, მეუღლეთა მოქალაქეობის ქვეყნის კანონს უპირატესობას ანიჭებს კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების უმრავლესობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გერმანიის კოლიზიურ კანონმდებლობაში უპირატესობა მინიჭებული აქვს მოქალაქეობის ქვეყნის კანონის გამოყენებას.

მოქალაქეობის პრინციპი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახითაა გამოხატული. რიგი ქვეყნებისა სავალდებულოდ არ თვლის ორივე მეუღლის საერთო მოქალაქეობას საჭიროდ. დომინირებული მდგომარეობა ასეთ შემთხვევაში მამაკაცს უჭირავს. ამგვარ ნორმას შეიცავს საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლი.⁵⁶

⁵⁵ საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ,” 1998წ. მუხლი 45.

⁵⁶ “Greek Civil Code,” Art. 14, <http://www2.law.uu.nl/priv/cefi/Reports/pdf2/Greece%20-%20Legislation.pdf>, 08.01.2009.

მსგავსი პრინციპია გატარებული იტალიის კოლიზიურ ნორმებში. იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, როცა არ არსებობს მეუღლეთა საერთო მოქალაქეობა, ასეთ შემთხვევაში მითითება ხდება ქმრის პირად კანონზე.⁵⁷ აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც განეკუთვნება ქმარი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია ვინაიდან ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში უპირატეს პოზიციაში ქმარი იმყოფება. ეს გარკვეულწილად მეუღლეთა თანასწორობის პრინციპს არღვევს. კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა სახის ურთიერთობებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ეს არის პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები.⁵⁸ პირთა თანასწორუფლებიანობა უმთავრესი ქვაკუთხედია ჯანსაღი კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ქმრის მოქალაქეობის პრინციპზე უპირატესობის მინიჭება კანონმდებლის ერთგვარი ხარვეზია და ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია გაუთავებელი კომფლიქტის მიზეზიც იყოს.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ქვეყნის კოლიზიური ნორმები საერთოდ არ ითვალისწინებს ქონებრივი ურთიერთობების მიმართ მეუღლეთა საერთო მოქალაქეობის პრინციპს. პირველ რიგში უთითებს მეუღლეთა ადგილსამყოფელის ქვეყნის სამართალს და ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი მითითება პირდაპირ ხდება ქმრის პირად კანონზე, ანუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირება ხდება იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეც არის ქმარი. მსგავს მითითებას შეიცავს პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი.

რა თქმა უნდა, აღნიშნული პრინციპი ყველგან ერთი სახით არ არის მოცემული, არის საკმაოდ რადიკალურად განსხვავებული ხედვა და მიდგომა მოცემული საკითხისადმი, მაგრამ ზოგადი არსი მაინც ერთია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონში “საერთაშორის კერძო სამართლის შესახებ” მოქალაქეობის ქვეყნის კანონზე უპირატესობის მინიჭება ყველაზე ოპტიმალური არჩევანია.

⁵⁷ “Italian Civil Code,” Art.18 www.deanet.com/Vetrina_editori/Civilcode_table_contents.htm,

⁵⁸ იხ. ჭანტურია ლ. “შესავალი სამოქალაქო სამართლის ნაწილში,” გამომცემლობა “სამართალი,” თბილისი 2000წ. 37.

6.1.2 ყველაზე მჭიდრო დაკავშირებული ქვეყნის კანონი

კოლიზიურ სამართალში ერთ-ერთი გავრცელებული მიმაგრების ფორმულაა სამართლებრივ ურთიერთობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის პრინციპი. მოცემულმა მიმაგრების ფორმულად გავრცელება ჰპოვა ანგლოამერიკული ქვეყნების სამართალში.

ზემოაღნიშნული მიმაგრების ფორმულის მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი უპირატესობას არ ანიჭებს რომელიმე გაქტიურ გარემოებას. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე და აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ დაკავშირებულ ფაქტიურ გარემოებას უნდა მიანიჭოს უპირატესობა.

სხვა მიმაგრების ფორმულებისაგან განსხვავებით, რომლებიც სუბიექტურ კრიტერიუმს ემყარება, იგი ობიექტურ კრიტერიუმს ემყარება და ამიტომაც უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ სასამართლო ტენდენციურად გამოიყენებს,

მჭიდრო კავშირში მოისაზრება ისეთი “დაკავშირებული” ფაქტიური გარემოება, რომლის უკანაც დგას იმ ქვეყნის მატერიალური სამართლის სოციალური პოლიტიკა, რომლის ინტერესებიც ყველაზე მეტად მოიცავს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას.

მოცემულმა პრინციპმა ასახვა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონშიც ჰპოვა. კერძოდ, მოცემული კანონის თანახმად, იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, სადაც მოქმედებს რამოდენიმე ტერიტორიული ან განსხვავებული სამართლებრივი სისტემა, გამოიყენება ის სამართლებრივი სისტემა, რომლის გამოყენებასაც მოცემულ შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ქვეყნის სამართალი. თუ ასეთი წესი არ არსებობს, გამოიყენება იმ ტერიტორიის სამართალი, რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული.⁵⁹

ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის კანონის პრინციპს ითვალისწინებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, აღნიშნული კანონის 45-ე მუხლის თანახმად თუ სახეზე არ გვაქვს მეუღლეთა საერთო

⁵⁹ საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ”, 1998წ. მუხლი მე-7.

მოქალაქეობა, არც საერთო ადგილსამყოფელი, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

მეუღლეებისათვის ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად ის ქვეყანა, სადაც გააფორმეს ქორწინება.

6.2 სუბიექტური მიმაგრების ფორმულა

6.2.1 ნების ავტონომიის არსი

კოლიზიურ საოჯახო სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეუღლეთა მიერ ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის წესს. ეს მეუღლეთა ნების ავტონომიის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია “მხარეთა ნების ავტონომიის” ინსტიტუტს. მისი სამართლებრივი რეგლამენტირება ხდება არა მარტო ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიერ, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მხარეთა ნების ავტონომია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობის მონაწილე მხარეთა მიერ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევას. აღნიშნული სამართლისადმი დაქვემდებარება გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი სამართლებრივი სისტემა მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს სავალდებულო იურიდიულ ძალას ანიჭებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.⁶⁰

უნდა აღინიშნოს, რომ “მხარეთა ნების ავტონომიის” ცნების მიმართ არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ამ პრინციპის აღიარებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.

⁶⁰ გაბისონია ზ. “საერთაშორისო კერძო სამართალი”, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2006წ. 106.

პირველი ქვეყანა, სადაც აღიარებულ იქნა მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, როგორც საკოლიზიოსამართლებრივი ბუნების მქონე ინტიტუტი, არის ინგლისი.

მხარეთა ნების ავტონომია უკვე საუკუნეზე მეტია გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინასა და პრაქტიკაში. მას გამოუჩნდნენ, როგორც მხარდამჭერები, ასევე კრიტიკოსებიც.⁶¹ ცნობილი ამერიკელი კოლიზიონისტი, ბილი მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპის წინააღმდეგი იყო. იგი უთითებდა, რომ მხარეთა ნების ავტონომიის ინტიტუტს არ აქვს საკოლიზიოსამართლებრივი ბუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში “ამის აღიარება გამოიწვევს მხარეთა მიერ საკანონმდებლო აქტის მიღებას.”

პრაქტიკაში ფართოდაა დამკვიდრებული ის თეორიები, რომლებიც მხარეთა ნების ავტონომიას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. აღნიშნული თეორიებიდან გამოიყოფა სამი ყველაზე გავრცელებული თეორია.

პირველი თეორიის მიმდევრები მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს ერთ-ერთ კოლიზიურ მიმაგრების ფორმულად მიიჩნევენ, რომლის გამოყენებითაც ხდება კონკრეტული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტა.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ნების ავტონომიის ცნებას უკავშირებს მოცემული ქვეყნის ნაციონალურ სამოქალაქო სამართალს.

შემდეგი თეორიის მიხედვით, მხარეთა ნების ავტონომია მიჩნეულია არა კოლიზიურ ნორმად, არამედ “უცხოურ ელემენტთან” დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების საშუალებად.

მამასადამე, მხარეთა ავტონომიის ინსტიტუტი არის განსაკუთრებული სახის საკოლიზიო მიბმა, რომელიც ხასიათდება სუბიექტური კრიტერიუმით და რომელსაც ახორციელებენ თვით მხარეები სახელმწიფოსგან (კანონმდებლობისგან) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

6.2.2 შეთანხმება გამოსაყენებელ სამართალზე

ზოგიერთი ქვეყნის კოლიზიური კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მეუღლეებს არა მხოლოდ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესაძლებლობა აქვთ,

⁶¹ Beal H. A Treatise on the Conflicts of Laws (3. vols), New York, 1935, 1079-1086.

არამედ მათ შეუძლიათ მუთითონ, თუ რომელი სასამართლო კომპეტენტური განიხილოს მათ შორის წარმოშობილი ქონებრივი დავა.

არის ქვეყნები, რომლებიც, მართალია, იცნობენ მეუღლეთა ნების ავტონიმიის ინსტიტუტს და აღიარებენ მათ მიერ ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესაძლებლობას, მაგრამ მას უპირატესობას არ ანიჭებენ და გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული.

საქართველოს კანონში, “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ,” პირდაპირ არის მითითებული, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც მათ აირჩიეს. თუ ასეთი შეთანხმება არ გვაქვს სახეზე, მაშინ დღის წესრიგში დგება ობიექტური საკოლიზიო მიმაგრების ფორმულების გამოყენების საკითხი.⁶²

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების კოლიზიური საკითხების რეგულირებისას საკმაოდ დიდი აქტუალობით გამოირჩევა გამოსაყენებელი სამართლის შესახებ შეთანხმება. სამართლის არჩევის პრინციპი, გათვალისწინებულია არაერთი ქვეყნის კოლიზიური სამართლით. ის შეიძლება არსებობდეს ცალკე შეთანხმების სახით, ან გათვალისწინებულ იქნას საქორწინო კონტრაქტში.

საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესახებ შეთანხმების სავალდებულო ფორმას ადგენ. ის შედგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით და გაფორმდეს სანოტარო წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სავალდებულო იურიდიული ძალა არ ექნება. სამწუხაროდ, საქართველოს კოლიზიური ნორმები, რომლებიც ეხება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებას, არ ითვალისწინებს საქორწინო კონტრაქტის არსებობას, რომელშიც ასევე მითითებულ იქნებოდა გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით შეუძლებელია. აქ კანონმდებელი მხოლოდ ცალკე შეთანხმებით შემოიფარგლება. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართული კოლიზიური სამართლის არასრულფასოვნებაზე.

⁶² საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ”, 1998წ. მუხლი 45, ნაწილი II.

გერმანიის კოლიზიური კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევი შესაძლებლობაზე და მისი შედგენის წესზე. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-15 მუხლშია მეუღლეთა მიერ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესაძლებლობა გათვალისწინებული. აქაც სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა.

როგორც ავღნიშნეთ, არის ქვეყნები, რომლებიც სამართლის არჩევის შესაძლებლობას არამარტო ცალკე შეთანხმების სახით ითვალისწინებენ, არამედ მას ასევე საქორწინო კონტრაქტს უკავშირებენ.

6.2.3 საქორწინო კონტრაქტი

შესაძლებელია, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ შეთანხმება გათვალისწინებულ იქნას საქორწინო კონტრაქტშიც. ასეთ შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ შეთანხმების ცალკე გაფორმება აღარ არის საჭირო.

გამოსაყენებელი სამართლის არჩევის წესისა და ფორმის გასარკვევად, საჭიროა განხილულ იქნას საქორწინო კონტრაქტის არსი და მასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ის სფერო რომლის რეგულირების საკითხიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქორწინო კონტრაქტით.

თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების იმპერატიულ მეთოდთან ერთად მათ დისპოზიციურ რეგულირებასაც ითვალისწინებს, რაც საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტი) გაოფორმების გზით მიიღწევა.

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა მათ, ვინც ქორწინდება, წინასწარ მიიღონ ზომები ქონებრივი უფლებები და მოვალეობების სამართლებრივი რეჟიმის განსასაზღვრად, მოცემული ურთიერთობების რეგულირება დაუქვემდებარონ ამათუიმ ქვეყნის სამართალს. ასევე, შესაძლებელია, რომ საქორწინო კონტრაქტის საშუალებით განსაზღვრონ, თუ რომელი ქვეყნის

სასამართლო კომპეტენტური განიხილოს მათ შორის წარმოშობილი დავა. რიგ შემთხვევებში ამის გაკეთება უკვე დაქორწინებულ მეუღლეებსაც შეუძლიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში საქორწინო კონტრაქტი აღიარებულია სიახლედ. რეალურად კი საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია.⁶³

ევროპაში საქორწინო ხელშეკრულებები, როგორც მინიმუმ, შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი. ქორწინება განიხილებოდა, როგორც ეკონომიკური კავშირი და მას ერთვებოდა შესაბამისი ქონებრივ ხელშეკრულებათა გაფორმება.

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეცვლა შეუძლია საქორწინო ხელშეკრულებას (კონტრაქტს). ის, როგორც მინიმუმ, მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობათა განაწილებას არეგულირებს. ამგვარი კონტრაქტის დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს მრავალი ქვეყნის კოლიზიური სამართალი.

მეუღლეთა მიერ სამართლის არჩევის შესაძლებლობას საქორწინო კონტრაქტის საშუალებით ითვალისწინებს შვეიცარიის კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.” მოცემული კანონის 52-ე მუხლის თანახმად: “მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება მათ მიერ არჩეული სამართალი”. არჩეული სამართალი შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს და გამოიყენება მანამდე, სანამ მეუღლეები სხვა სამართალს არ გამოიყენებენ.⁶⁴

შვეიცარიის კოლიზიური კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია ასევე, რომ მხარეები არამხოლოდ გამოსაყენებელი სამართლის არჩევაზე შეთანხმდნენ წინასწარ, არამედ მათ შესაძლებლობა აქვთ, რომ საქორწინო კონტრაქტის ან სამართლის არჩევის შესახებ ცალკე შეთანხმებით გაითვალისწინონ, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიუხედავად ძველი გამოსაყენებელი სამართალი კვლავ ძალაშია. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სამართლის არჩევის ინსტიტუტს, რომელიც მეუღლეთა ნების ავტონომიის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლინებაა.

⁶³ ჩიკვაშვილი შ. “საოჯახო სამართალი”, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2004წ. 182.

⁶⁴ “Schweizerische Bundesgesetz über das Internationales privatrecht”, Art 53, <http://www.admin.ch/ch/d/sr/291/a77.html>.

ზემოაღნიშნული კანონი ასევე მიუთითებს დამატებით, რომ საქორწინო კონტრაქტი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგენილია იმ ქვეყნის შიდაკანონმდებლობით დადგენილი ფორმით, რომელიც საქორწინო კონტრაქტშია მითითებული. გარდა ამისა საქორწინო კონტრაქტი ძალაშია ასევე იმ შემთხვევაში, როცა კონტრაქტის ფორმა შეესაბამება მისი შედგენის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.⁶⁵

სასურველ იქნება ასე დეტალურად იქნას ჩამოყალიბებული საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.”

მაშასადამე ნათელია, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა გამოსაყენებელი სამართლის არჩევასთან მიმართებით მართებულია. სასურველია, რომ ქართული კოლიზიური სამართალი საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს. არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ცალკეული შეთანხმების მითითებით. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა ნების ავტონომიის პრინციპი უფრო სრულყოფილად იქნება გამოხატული მოცემულ კოლიზიურ ნორმებში, რაც მეტ სრულყოფილებას შესძენს ქართულ კოლიზიურ სამართალს.

6.2.4 ნების ავტონომიის ფარგლები

მართალია, მეუღლეებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, თვითონ განსაზღვრონ, თუ რომელი ქვეყნის სამართლით უნდა იქნას რეგულირებული მათ შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობა, მაგრამ მოცემული უფლება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული.

ზემოაღნიშნული შეზღუდვები დადგენილია კოლიზიური სამართლით, კერძოდ, საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” უთითებს რა მეუღლეთა მიერ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესაძლებლობაზე, აქვე ადგენს მის ფარგლებს. კერძოდ, სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ

⁶⁵ “Schweizerische Bundesgesetz über das Internationales privatrecht”, Art 53, <http://www.admin.ch/ch/d/sr/291/a77.html>,

ქვეყნის სამართალზე: ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება; ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

კანონმდებელი იძლევა სრულ ჩამონათვალს, თუ რომელი ქვეყნის სამართლის გამოყენების შესაძლებლობა ეძლევა მეუღლეებს. აქვე კანონმდებლობა დამატებით უთითებს, რომ ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ლტოლვილებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალიც, სადაც მათ აქვთ ახალი ერთობლივი ადგილსამყოფელი.⁶⁶

სულ სხვანაირი მიდგომაა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” შვეიცარიის კანონში. აქაც მეუღლეთა ნების ავტონომია მოქცეულია გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ ის განსხვავდება ქართული კოლიზიური სამართლის მიერ დადგენილი ფარგლებისაგან. შვეიცარიის ზემოაღნიშნული კანონის 52-ე მუხლის თანახმად: “მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ორივეს ერთად გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ქორწინების შემდეგ სადაც ერთად ცხოვრობნენ, ან იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ერთ-ერთი მეუღლე.

⁶⁶ საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ”, 1998წ. მუხლი 45, ნაწილი III.

დასკვნა

სადიპლო ნაშრომი აგებულია საოჯახო ურთიერთობების, კერძოდ კი, მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობასთან წარმოშობილი პრობლემების მოწესრიგებისაკენ. აღნიშნული თემა ეხება მეტად აქტუალურ საკითხს, რომელიც მუდმივად გვხვდება საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებაში. თუ რა წარმოადგენს მეუღლეთა ინდივიდუალურ და თანაზიარ ქონებას, რა გარემოებები უნდა გაითვალისწინოს კანონმდებელმა და რას უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება მეუღლეთა შორის საერთო ქონების სარგებლობის, მფლობელობის, განკარგვისა და საბოლოოდ გაყოფის დროს. ვფიქრობ, ასეთი შემთხვევებისათვის მიზანშეწონილია დღის წესრიგში დადგეს ამ საკითხის ძირეულად შესწავლა და აღმოფხვრილ იქნას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების განხილვის დროს წარმოშობილი კოლიზიური შემთხვევები.

ჩემ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ის თუ როგორ არეგულირებს კანონი ამ ტიპის ურთიერთობებს. ვფიქრობ, რომ საზოგადოება არ არის იმ დონემდე გარკვეული ამგვარ საკითხებში, ისინი წინასწარ არ ფიქრობენ იმ მოსალოდნელ შედეგებზე რაც შესაძლებელია მათი ოჯახის დანგრევის შემთხვევაში წარმოჩინდეს. მიმაჩნია, რომ მეუღლეები ვალდებულნი არიან მკაფიოდ გაეცნონ კანონის იმ ნორმებს რომლებიც მათ პირად თუ ქონებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ, სწორედ ეს იქნება გზა იმისა რომ მათ თავიდან აიცილონ ზედმეტი უსიამოვნო პრობლემები.

სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, “მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ნორმიდან იწყება მთელი რიგი პრობლემების განხილვა, რომელიც ამ საკითხის რეგულირებისას წარმოიშობა. ამ ნორმის განმარტება უნდა მოხდეს სანივთო სამართლებრივ ნორმებთან კავშირში. მოძრავ ნივთებთან მიმართებით სსკ-ის 1158-ე მუხლი ჩაანაცვლებს „ნამდვილი უფლების“ არსებობას, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმოშობის სავალდებულო წინაპირობას, კერძოდ კი ნივთის ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში გადაცემას. რაც შეეხება უძრავ ნივთებს, მოქმედი რეგულირების მიხედვით, სსკ-ის 1158-ე მუხლი აფუძნებს თანასაკუთრების უფლებას, რაც წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას, მაგრამ საკუთრების უფლების წარმოშობისათვის

აუცილებელია ამ მოთხოვნის კანონით დადგენილი ფორმით განხორციელება. რაც გულისხმობს უძრავ ნივთზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობას საჯარო რეესტრში თანამესაკუთრებად ორივე მათგანის აღრიცხვის შედეგად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებული იქნება თუ სსკ-ის საოჯახო სამართლის ნორმებში აისახება მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების განსხვავებული მოწესრიგება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება რომ გახდეს, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია არა არის საკმარისი, აუცილებელია, რომ ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და ერთად ეწეოდნენ საოჯახო მეურნეობას.

სსკ-ის 1160-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, “იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.” ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მეუღლეს ამ ორივე მათგანს.” მოგეხსენებათ ამ მუხლის მნიშვნელობა საკმაოდ დიდ ინტერესს და უამრავ შეკითხვას ბადებს მესამე პირებთან მიმართებაში. მაგალითად, უძრავი ნივთის შემძენი, რომელიც გარიგებას დებს მხოლოდ ერთ მეუღლესთან ეყრდნობა საკუთრების ვარაუდს (საჯარო რეესტრის უტყურაობის პრინციპს) და მას ვერ მოვთხოვთ არკვიოს ჰყავს თუ არა პირს მეუღლე და თუ ჰყავს, არის თუ არა ის თანახმა. დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, თუ უძრავი ნივთი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და ერთ-ერთი მეუღლე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში როგორ თანამესაკუთრედ, ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ გამსხვისებლის მეუღლემ უარი თქვა, მოეპოვებინა თანასაკუთრების უფლება გასასხვისებელ უძრავ ქონებაზე.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ როგორც კანონმდებლობა, ისე დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა უპირატესობას კეთილსინდისიერ შემძენის ინტერესებს ანიჭებს, როდესაც ბათილად არ მიიჩნევა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებას და ამით იცავს სამოქალაქო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. რაც შეეხება მეორე მეუღლის ინტერესებს სამოქალაქო კანონმდებლობა მას შესაძლებლობას აძლევს თანამესაკუთრედ დარეგისტრირდეს უძრავი ნივთის შემძენის დროს ან შემგომში საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანით. თუ ის ამ შესაძლებლობას არ

იყენებს ვერც გარიგების ბათილად ცნობას მოითხოვს, რადგან მესამე პირს (კეთილსინდისიერ შემძენს) ამ შემთხვევაში არ გააჩნია სხვა შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ ენდოს საჯარო რეესტრის მონაცემებს. საწინააღმდეგოს დაშვება გამოიწვევს სამოქალაქო ბრუნვის შეფერხებას და მისადმი უნდობლობის გაჩენას. თუმცა ვფიქრობ ამ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, კარგი იქნება დადგინდეს მეუღლეთა საერთო უძრავი ქონების მესაკუთრედ ასაღრიცხად ორივე მეუღლის სავალდებულო რეგისტრაცია. რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, აქ გასათვალისწინებელია ის, რომ თუ შემძენი კეთილსინდისიერია, რა თქმა უნდა, დაუშვებელია ამ გარიგების გაბათილება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მეორე მეუღლე თანახმა არ იყო გარიგების დადებაზე ან არ იცოდა გარიგების დადების შესახებ, ამ შემთხვევაში ეს მეუღლე კომპენსაციით უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სწორი იქნება კანონმდებელმა შექმნას ისეთი მართლწესრიგი, რომელშიც მაქსიმალურად იქნება დაცული ორივე მხარის ინტერესები, ეს კი მან კეთილსინდისიერი შემძენისა და მეუღლის ინტერესების გაწონასწორებით უნდა მოახერხოს.

მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმი, თანაზიარი საკუთრების გარდა, ითვალისწინებს მეუღლეების ინდივიდუალურ საკუთრებას, რაც მათი ქონებრივი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა და ემსახურება მეუღლეთა ქორწინებამდელი ქონების განცალკევებულად შენარჩუნებას. კანონით საერთო საკუთრების უფლება არ ვრცელდება ქონებაზე, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ან მიიღონ ქორწინების განმავლობაში მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ასევე ნივთებზე, რომელიც მათ ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, გარდა ძვირფასეულობისა.

ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ნაწილად მიმაჩნია მეორე თავის მეხუთე ქვეპუნქტში განხილული საკითხი, კერძოდ – „მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა“. ქონების გაყოფის შემთხვევაში თითოეული მეუღლე მისი კუთვნილი საერთო ქონების ნაწილის დამოუკიდებელი მესაკუთრე ხდება. აქ აღნიშნულია ის შემთხვევები როდესაც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური (ქორწინებამდელი, ჩუქებით ან მემკვიდრეობით) მიღებული ქონება მეუღლეებს შორის გასაყოფ ქონებად ექცევა, ასეთი

შემთხვევა დგება მაშინ, თუ დამტკიცდება რომ იმ მეუღლემ, რომელსაც თავდაპირველად არ ეკუთვნოდა ეს ქონება გასწია გარკვეული ხარჯები, რითაც მკვეთრად გაუმჯობესდა ამ ქონების ღირებულება (ტრანსფორმაცია).

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სსკ-ი 1168-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, არეგულირებენ საკითხს, რომელიც არასრულწლოვანი შვილების ინტერესების დაცვას ეხება, ამ დროს რეალურია იმ მეუღლის წილის გადიდება რომელზედაც მთლიანად გადადის არასრულწლოვანი შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა. ამ საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, ანდა გადიდდეს იმ მეუღლის წილი ქონება ვისთანაც რჩებიან არასრულწლოვანი შვილები.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლოა მეუღლეთა საკუთრებითი უფლება-მოვალეობების გარდა ითვალისწინებს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობას. კანონით დადგენილი საალიმენტო ვალდებულება გულისხმობს ერთ-ერთი მეუღლის მიერ მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეორე მეუღლის სოციალურ უზრუნველყოფას, დახმარებას. მეუღლეები, როგორც წესი, ნებაყოფლობით, ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად ეხმარებიან ერთმანეთს და არა კანონის ძალით. თუმცა თუ ერთ-ერთი მეუღლე ამ სიტუაციაში უარს ამბობს დახმარებაზე, მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია სარჩოს სასამართლოს წესით მისაღებად, აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული ნაშრომის მე-5 თავში.

მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმის გარდა, კანონმდებლობა მეუღლეებს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას აძლევს რაც მათივე ნება-სურვილით სამართლებრივი რეჟიმის არჩევაში გამოიხატება. სამართლებრივი რეჟიმის არჩევანი ქართულ საოჯახო სამართალში, ისევე როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მეუღლეთა ნებაზეა დამოკიდებული. სახელშეკრულებო რეჟიმი საქორწინო ხელშეკრულების დადებით წარმოიშობა და ქონების სამართლებრივი ბედიც მხარეთა (მეუღლეთა) სურვილის მიხედვით განისაზღვრება. მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებლობა აქვთ გაითვალისწინონ გარკვეული უფლებები და

მოვალეობები, განსაზღვრონ ამისთვის მოქმედების დრო და ა.შ. მათ ასევე შეუძლიათ გაითვალისწინონ ქონებრივი უფლება-მოვალეობების სხვადასხვაგვარი გადანაწილება.

საქართველოში ამგვარი ტიპის ხელშეკრულებები ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ვთვლი რომ უკეთესი იქნება თუ საზოგადოება სიღრმისეულად ჩაწვდება ამ ხელშეკრულების არსებობის მნიშვნელობას.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტები არიან დასაქორწინებელი პირები და ის საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტებად გვევლინებიან უკვე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეები. სახესხვაობა ამ ორი ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში დასაქორწინებელი პირები თანხმდებიან რა სამართალმდგომარეობებზე განსაზღვრავენ უფლებებსა და მოვალეობებს ქორწინების რეგისტრაციის დღიდან - განქორწინებამდე (ან გარკვეული ვადით, თუ საქორწინო კონტრაქტი დადებულია განსაზღვრული ვადით), ხოლო მეორე შემთხვევაში მეუღლეები უპირველესად განსაზღვრავენ რომელი სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ იქნება მოქცეული კონტრაქტის დადებამდე, ქორწინების რეგისტრაციიდან შეძენილი ქონება, შემდგომ კი ირჩევენ მათთვის სასურველ სამართლებრივ რეჟიმებს მომავალში შეძენილი ქონებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლოა არ ითვალისწინებს საქორწინო კონტრაქტის რეგისტრაციის სავალდებულობას. თუმცა, თუ საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი ეხება ისეთ უფლებებს, რომელთა წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის სავალდებულოა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, საქორწინო ხელშეკრულებაც უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.

ასეთი ტიპის ხელშეკრულებები მეტ მნიშვნელობას იძენს მესამე პირების თითოეულ მეუღლესთან ურთიერთობის დროს, რომელიც ეხება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს. ასეთ დროს აუცილებელია ინფორმაცია მიეწოდოს კრედიტორებს საქორწინო ხელშეკრულების არსებობისა და მისი შინაარსის თაობაზე, რათა დროულად მიიღონ ზომები თავიანთი ინტერესების დასაცავად.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ არსებული ონფორმაციული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად აუცილებელია შეიქმნას მეუღლეთა ქონებრივი უფლებების ერთიანი რეესტრი, რომელშიც სავალდებულო წესით აისახება ინფორმაცია

მეუღლეთა ქონებრივი უფლებების შესახებ და დარეგისტრირდება მეუღლეთა შორის გაფორმებული საქორწინო ხელშეკრულება.

უმჯობესი იქნება თუ საქართველოს კანონმდებლობით საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაცია ზემოაღნიშნულ რეესტრში სავალდებულო იქნება და მხოლოდ მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ შევა ძალაში. ამასთან ფიზიკურ პირთან უძრავი ნივთის თაობაზე გაირგების დადებისას სავალდებულო უნდა იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეესტრის შინაარსის გაცნობა. ამ სავალდებულო მოქმედებით დაცული იქნება ნებისმიერი მესამე პირის ინტერესი. მის მიმართ არ უნდა გავრცელდეს ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც დადგენილი წესით არ იქნება რეგისტრირებული მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეესტრში.

სსკ-ის საოჯახო-სამართლებრივი ნორმების სრულყოფის პარალელურად, საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა სანოტარო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში. ამასთან მნიშვნელოვანია ის, რომ ნოტარიუსს შეუძლია ხელი შეუწყოს მასთან გაფორმებულ საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაციას შესაბამის რეესტრში.

ჩემი აზრით, მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეესტრის შექმნა სიცხადეს და მეტნაკლებ სრულყოფილებას შესძენს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში და პარალელურად, ხელს შეუწყობს მესამე პირების ინტერესების დაცვას.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები კვლევა-ძიების საკმაოდ ფართო სფეროს წარმოადგენს და სასურველია მისი კვლევა შემგომშიც გაგრძელდეს.

ეს თემა ვფიქრობ საზოგადოებასა და მომავალ დასაოჯახებელ წყვილებს მისცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უფლებები და მოვალეობები მიენიჭებათ მათ როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების შემთხვევაში, ასევე წინასწარ ეცოდინებათ იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც დაეკისრებათ კანონის წინაშე გარკვეულ შემთხვევებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.
3. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი თბ. 2004
4. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2009
5. ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურება საერთაშორისო კერძო სამართალში
6. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ თბილისი 2006
7. ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“,
8. ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა (ემსი), თბ., 2011
9. ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, № 1(5),
10. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეჭ2 გამოცემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2003,
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000,
12. თუმანიშვილი გ. გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, გამომც. „უნივერსალი“
13. ზოიძე ო., „მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი,“ ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი, 2004წ.
14. ჭანტურია ლ. „შესავალი სამოქალაქო სამართლის ნაწილში,“ გამომცემლობა „სამართალი,“ თბილისი 2000წ
15. Schwab D., Familienrecht, Grundrisse des Rechts, 16. Auf., Verlag C.H. Beck, München, 2004,
16. Wilfried S., BGB Familienrecht, 10 Auf., C.F. Müller, Heidelberg, 2003

17. Мкртумян А., Правовое регулирование государственной регистрации прав возникающих из договоров с недвижимым имуществом. (проблемы практики. Судебный прецедент как источник гражданского права),
18. Greek Civil Code,” Art. 14, <http://www2.law.uu.nl/priv/cefl/Reports/pdf2/Greece%20-%20Legislation.pdf>, 08.01.2009.
19. “Italian Civil Code,” Art.18
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის №ას-1653-1641-2011 განჩინება,
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის №ას-1302-1322-2011 განჩინება იხ.
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ოქტომბრის #ას-631-592-2010 განჩინება, იხ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/04-2010.pdf>
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბერი №ას-1122-1149-2011 განჩინება იხ.
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა 2008 წლის 15 მაისის №ას-968-1269-07 განჩინება იხ.
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
25. ourt.ge/DetailViewCivil.aspx
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 თებერვლის #ას-126-121-2012 განჩინება იხ.
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 დეკემბრის #ას-763-714-2010 განჩინება იხ.
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის #ას-533-506-2011 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002წ. 9 დეკემბრის განჩინება #3კ-932-02

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-3k-932-02.pdf>

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002წ. 9 დეკემბრის განჩინება #3კ-932-02

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-3k-932-02.pdf>

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის #ას-855-906-2011 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 ივლისის #3კ-1489-02 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 ივლისის #3კ-1489-02 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის #ას-990-1023-2011 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის №ას-1829-1802-2011 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის №ას-1035-1228-08 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 იანვრის №ას-1650-1638-2011 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის #ას-108-388-08 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 დეკემბრის #ას-696-976-05 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 აპრილის #ას-1338-1460-04 განჩინება იხ.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.